გაზეთი ზღვრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№13 (1039) 6 – 8 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ინტერვიუ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილესთან

ილია ელოშვილი:

„სწორი მიდგომით, ინვესტორებისთვის სწორად შერჩეული პირობებით ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მივაღწევთ“

გვ. 5

ოპოზიციური პარტიები „შვიდიანს“ ქმნიან

რომელი ძალები შევლენ ახალ გაერთიანებაში და რატომ ითხოვენ ისინი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას

გვ. 3

მარგველაშვილის ინიციატივას ორპალატიანი პარლამენტის შესახებ „შვიდიანი“ გაახმოვანებს. პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული მოდელით, ქვედა პალატაში „მუშა“ დეპუტატები შევლენ. ცნობადი სახეები კი, მაჟორიტარებთან ერთად, ზედა პალატაში აინაცვლებენ... ამ საკითხზე ქუთაისში ხელმოწერების შეგროვება უკვე დაიწყეს

პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრის გაუხმაურებელი დეტალები

ავტოგაზი და პროდუქტიც ძვირდება?

რატომ უზრდის გაზის ტარიფს იურიდიულ პირებს მონოპოლისტი „სოკარი“ და რატომ ნესდება შეღავათები მხოლოდ პურის ქარხნებზე

გვ. 6

ათონელზე რეზიდენციის მშენებლობა დასრულდა – ვინ გადავა ორბელიანების სასახლედწოდებულ შენობაში

გვ. 4

„სიდას“ დირექტორი ბრალდებებს პასუხობს

„ივანიშვილის განცხადება მუქარად აღვიქვით. ჩვენი დაფინანსების შესახებ ინფორმაციას კი თავად ვასაჯაროებთ“

გვ. 2

სისტემური რეფორმა პედაგოგების მხარდასაჭერად

სპეციალური კომისიის მიერ მიღებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალ სქემას მთავრობა, სავარაუდოდ, 20 თებერვლამდე დაამტკიცებს

გვ. 9

პროკურორების „გაფუჭების“ სკანდალური სქემა

პროფესიონალ ბრალმდებელს „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირი ვერ დაუმტკიცეს და ქრთამის აღება „შეტენეს“

გვ. 7

პატიმრის დღიური

კომპანია „ნატახტარმა“ 100 მილიონი ლიტრი პროდუქცია გაყიდა

გვ. 10

„სიდას“ დირექტორი ბრალდებებს პასუხობს

„ივანიშვილის განცხადება მუქარად აღვიქვით. ჩვენი დაფინანსების შესახებ ინფორმაციას კი თავად ვასაჯაროებთ“

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

ბოლო დღეებში სამი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ირგვლივ გაჩენილი კითხვები, საზოგადოების ნაწილმა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლად შეაფასა, „ენჯეოების“ ნაწილმა კი, უფლებამოსილი უწყებების მიერ, შვედური ფულით დაფინანსებული კოლეგების საქმიანობის შესწავლა მოითხოვა.

თემა, რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ ააგორა, როცა განაცხადა, თითქოს შვედური მხარის მიერ საქართველოში სიღარიბის დაძლევისთვის გამოყოფილი თანხები ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კვლევებს მოხმარდა. ხაინდრავას გააქტიურებას წინ უძღოდა შვედურ გაზეთ „აფტონბლადეტში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „ნაციონალური მოძრაობა შვედეთის ფულად დახმარებას პოლიტიკური დაკვეთებისთვის იყენებდა“. „აფტონბლადეტი“ წერს, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება არამიზნობრივად ხარჯავდა იმ თანხებს, რომელსაც მას შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული განვითარების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო — „სიდა“ აწვდიდა. აღნიშნული ორგანიზაციის ამოცანა სიღარიბის დაძლევა და ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა.

„აფტონბლადეტის“ ინფორმაციით საქართველოს მოსახლეობისთვის განკუთვნილი 95 მილიონი შვედური კრონა, ქვეყანაში მომუშავე ამერიკულ ორგანიზაციებს — NDI-ს, Eurasia Foundation-სა და მის შვილობილ კომპანია EPF-ს გადაეცა.

გამოცემა ასევე წერს, რომ აღნიშნული თანხები საქართველოში არამიზნობრივად იხარჯებოდა და მაგალითად მოჰყავს NDI-ს მიერ განხორციელებული ერთ-ერთი პროექტი, როდესაც 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ორგანიზაციამ სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგებით, მოსახლეობის უმეტესობა მაშინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უჭერდა მხარს. თუმცა არჩევნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ექსპრეზიდენტის მხარდამჭერთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე NDI-ს გამოკითხვაში იყო ასახული.

„ვერსია“ სამოქალაქო განვითარების სააგენტოს დირექტორს, **ზვიად დევდარიანს** დაუკავშირდა და გაარკვია, რომ მისი აზრით, შვედურ მხარეს, ინფორმაცია გოგა ხაინდრავამ მიაწოდა, რომელიც შვედეთში აქტიურად მართავდა პრესკონფერენციებს და წინა ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატებს აქვეყნებდა. დევდარიანი ამბობს, რომ მათი ორგანიზაცია შვედური ფულით არ ფინანსდება და ხსენებულ კორუფციულ სქემასთან „სიდას“ საერთო არაფერი აქვს:

„პირდაპირი კონტაქტი არ გვაქვს შვედურ მხარესთან, თუმცა ზოგიერთი ორგანიზაცია მათგან ფინანსდება. ამ პრობლემის პოლიტიკურ ნაწილს რაც შეეხება, ივანიშვილის განცხადება ყველამ აღვიქვით მუქარად, რამდენიმე დღეში კი ამას მოჰყვა ხაინდრავას მხრიდან მტკიცებულებების გამოქვეყნება. ხელისუფლება უნდა ინტერესდებოდეს არასამთავრობოების დაფინანსების წყაროებით. ჩვენი დაფინანსება არის გამჭვირვალე და ამის შესახებ ინფორმაციას თავად ვასაჯაროებთ“.

ექსპერტი **მამუკა არეშიძე** მიიჩნევს, რომ პოლიციის ჩინოსნობა თავისთავად დანაშაული არ არის და ნებისმიერ პოლიციელს შეუძლია, თადარიგში გასვლის შემდეგ შექმნას არასამთავრობო ორგანიზაცია. არეშიძე არც იმას გამორიცხავს, რომ გიგაური, ლომჯარია, კოჟორიძის არასამთავრობოებს არ სცოდნოდათ, საიდან მოდიოდა ეს ფული: **„ჯერ უნდა შესწავლილიყო მთელი პროცესი და გარკვეულიყო ამ ფულის წარმომავლობა. თუ თანხის არამიზნობრივი ხარჯვა არ დადასტურდებოდა, სახელები საერთოდ არ უნდა ეხსენებინათ. უამრავი შემთხვევა არსებობს, მაგალითად დიდ ბრიტანეთში, როდესაც ხელისუფლება ინტერესდება მათ ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით. ამ დღეებში ვესაუბრე დიპლომატიური სტრუქტურის ერთ-ერთ წარმომადგენელს, რომელმაც თქვა, რომ დაიწყეს პოლიტიკურ ისლამთან დაკავშირებული ორგანიზაციების შემოწმება. ფორმალურად ისინიც არასამთავრობოები არიან. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აქვთ უფლება, შემოწმდეს ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსების წყარო“.**

გოგა ხაინდრავამ, მოგვიანებით, მტკიცებულებებიც წარმოადგინა. საუბარია შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ივანე მერაბიშვილის 2007 წლის 13 ნოემბრის ბრძანებულებაზე, რომლის მიხედვით პოლიციის ერთ-ერთ ლეინტენანტ ეკა გიგაურს ვადაზე ადრე მიენიჭა სასაზღვრო პოლიციის კაპიტნის წოდება. ამას ხაინდრავა უკავშირებს 2007 წლის 7 ნოემბრის ცნობილ მოვლენებს, როდესაც, მისივე თქმით, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დარბეული აქციის მონაწილე, „დალეწილი ხალხი საავადმყოფოში წევს და საქართველო იშუშებს ტრავმას“.

ხაინდრავამ, მასმედიის წარმომადგენლებს კიდევ ერთი ბრძანება წარუდგინა, რომლის თანახმად, ეკა გიგაურის ხელმძღვანელობითა და კონტროლით, სამსახურებრივი მოვალეობის კარგად შესრულებისთვის ფულადი ჯილდოებით დაჯილდოვდნენ იმ სპეცრაზმის წარმომადგენლები, რომელთაც, ხაინდრავას თქმით, 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგი დაარბიეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური კატეგორიულად უარყოფს 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დარბევაში მონაწილეობას და ცილისწამებისთვის რეჟისორ გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ უახლოეს დღეებში სარჩელს შეიტანს თბილისის საქალაქო სასამართლოში. ეკა გიგაური და მისი ორგანიზაცია გოგა ხაინდრავასაგან ცილისწამების, საქმიანი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შელახვით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვს ქართული მედიის საშუალებით ფაქტების საჯაროდ უარყოფას, ბოდიშის მოხდას და სიმბოლური თანხის, 30 თეთრის გადახდას.

ეკა გიგაურს სკანდალური ბრალდებები წაუყენა არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ ხელმძღვანელმა, გურამ ადამაშვილმაც. მისი თქმით, გიგაური 2008 წლამდე, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე იყო და სწორედ ამ უწყებამ დაარბია 2007 წლის 7 ნოემბრის აქცია. ხოლო მას შემდეგ, რაც გიგაურმა აღნიშნული უწყება დატოვა, ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობდა. მისივე ინფორმაციით, გიგაურის არასამთავრობოს 19 მილიონამდე ოდენობის გრანტი აქვს მიღებული.

ჟვანიას საქმეზე ბრალდებული გვარამია და ლაზარია სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

ე.წ. სამართლიანობის აღდგენის სახელით „დაჭერები“ გრძელდება. ამჯერად, პროკურატურამ პირველი უარის მერე, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით ისევ მიმართა და ყოფილი მთავარი პროკურორის, მამუკა გვარამიასა და სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის ყოფილი მოადგილის, როსტომ ლაზარიას დასაკავებლად განჩინება მოითხოვა. საქმე მოსამართლე გიორგი არევაძემ განიხილა. პროკურატურა ორივე ბრალდებულისთვის პატიმრობას ითხოვდა, ადვოკატები კი — 2 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას. საბოლოოდ, ეჭვმიტანილებს 3 000-ლარიანი გირაო შეეფარდათ და პირდაპირ დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

საქმე ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალებას ეხება — გვარამიასა და ლაზარიას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 369-ე მუხლის მესამე ნაწილით წარუდგინეს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და მტკიცებულებების ფალსიფიკაციას მოიცავს. მუხლები, დამტკიცების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს. როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2005 წლის 3 თებერვალს, ჟვანიას საქმეზე გამოძიება თბილისის ვაკე-საბურთალოს იმჟამინდელ რაიონულ პროკურორს, მამუკა გვარამიასა და პროკურორის თანაშემწეს, როსტომ ლაზარიას დაევალა. საგამოძიებო ჯგუფის ფაქტობრივი ხელმძღვანელი მამუკა გვარამია იყო, რომელმაც თავად დაკითხა ზურაბ ჟვანიას პირადი დაცვის წევრები კობა ხარშილაძე და მიხეილ ძაძამია. პროკურატურის განცხადებაში ვკითხულობთ: **„მამუკა გვარამიასა და როსტომ ლაზარიას, როგორც საგამოძიებო ჯგუფის წევრებს, ევალებოდათ, ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ობიექტური, სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების წარმოება და იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რომელთა მიზანი იქნებოდა სისხლის სამართლის საქმეზე „ცხელ კვალზე“ მტკიცებულებათა მოპოვების გზით, ჭეშმარიტების დადგენა“.** თუმცა მოგვიანებით, განმარტებულია, რომ გვარამია-ლაზარიამ სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს და მტკიცებულებები გააყალბეს. კერძოდ, ჟვანიას დაცვის წევრის, ძაძამიას დაკითხვის ოქმის მიხედვით, მამუკა გვარამიამ ჩვენებაში დააფიქსირა, რომ 2005 წლის 2 თებერვალს, 23:50 საათზე, ძაძამიამ სააკაძის მოედანზე მდებარე სუპერმარკეტში, ჟვანიას მითითებით, კონიაკი, სოსისი, ძეხვი და ნატურალური წვენი შეიძინა და ამის შემდეგ მიიყვანა ჟვანია საბურთალოს ქუჩაზე, სადაც იპოვეს კიდეც გარდაცვლილი. გამოძიებამ ოჯახის წევრებისგან შემთხვევით გაიგო, რომ ეს სუპერმარკეტი მხოლოდ 22:00 საათამდე მუშაობდა. ძაძამიამ კი ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ პროდუქტი სააკაძის ქუჩაზე კი არა, საბურთალოს №37ა-ში მდებარე სადღეღამისო სუპერმარკეტ „ლილეში“ შეიძინა. თბილისის ყოფილ მთავარ პროკურორს დათვალიერების ყალბი ოქმის შედგენა, კომპიუტერულ ბაზაში არსებული ამონაწერის გაყალბება და გამოძიების ჩიხში შეყვანა ბრალდება. ამას კი, პროკურატურის თქმით, ჩატარებული ექსპერტიზა და სუპერმარკეტის თანამშრომლების დაკითხვა ადასტურებს. როგორც პროკურატურა ირწმუნება, მეტი დამაჯერებლობისთვის, გაყალბებული ოქმი და ქვითრები გვარამია-ლაზარიამ ჟვანიას საქმეში ჩადეს. **„შემთხვევის ადგილის ფაქტობრივი მდგომარეობის განზრახ დამახინჯებით ხელი შეეშალა საქმეზე ობიექტური, სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების ჩატარებას და არსებითად დაირღვა დაზარალებულის უფლებამონაცვლეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები“,** — ნათქვამია უწყების განცადებაში. თუმცა არცერთი ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს, ხოლო ყოფილი მთავარი პროკურორი, **მამუკა გვარამია** საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს და აცხადებს, რომ პროკურატურის ხელში პოლიტიკური იარაღი ხდება, რადგან, რეალურად, საქმის გახსნა არ შეუძლიათ: **„პროკურატურას ჩემი დაკავება რამდენიმე დღის წინაც უნდოდა. სასამართლომ უარი განუცხადა. ახლა მეორე მცდელობა აქვთ. პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ და არც პოლიტიკური განცხადებები მიკეთებია. როგორც ჩანს, ჩემი საქმე, სახელი და წარსული პროკურატურის ხელში პოლიტიკური იარაღი ხდება. ეს ყველაფერი ფალსიფიცირებულია. რასაც მედავებიან, ის თავად აქვთ ჩადენილი. მათთვის საინტერესო ჩემი მუშაობის პერიოდია: 14 წელი გამომძიებელი ვიყავი, შემდეგ — პროკურორი. ახლა ჟვანიას საქმის გახსნა დააანონსეს და სურთ, საზოგადოებას დააჯერონ, რომ დამნაშავე ყოფილი მთავარი პროკურორია. ეს რაღაცის გადასაფარად ხდება! ამ საქმის შემოქმედი იმ მუხლებით აგებს პასუხს, რა მუხლებიც მე მაქვს წარდგენილი“.** გვარამიამ კომენტარი პროკურატურის მიერ დაკონკრეტებულ რამდენიმე დეტალზეც გააკეთა: **„ჯერ ერთი, პროკურატურის მასალებში არ წერია, რომ საგამოძიებო ჯგუფს ვხელმძღვანელობდი. თუ წინასწარ ვიყავი შეთანხმებული, რომ ძაძამიასთვის პირველი ჩვენება უნდა შემეცვლევინებინა, პირველ ჩვენებაში იმას ვერ დავაწერინებდი, რაც შემდგომ ჩვენებაში თქვა. ჩვენების შესაცვლელად ძაძამია მე არ გამომიძახებია და პროკურატურას არც ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი გააჩნია — ძაძამიამ, როგორც მეორე ჩვენებაში წერს, სუპერმარკეტთან გაიარა და მიხვდა, რომ ეს ის იყო, რომელიც პირველ ჩვენებაში უნდა ჩაეწერა“.**

ბრალდებას არც როსტომ ლაზარია აღიარებს. წინასასამართლოს სხდომა კი 26 მარტს, 15:00 საათზე ჩაინიშნა.

ნინო კომახიძე

ოპოზიციური პარტიები „შვიდიანს“ ქმნიან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უკვე დიდი ხანია, დიდი მოთმინებით, ერი ქართული არასაპარლამენტო ოპოზიციის გამოღვიძებას ელის. უფრო სწორად, აღარც ელის — 2012 წლის შემდეგ ამ ფრონტიდან ჩამიჩუმი არ ისმის. არადა, თურმე ოპოზიციას არც დაუძინია და ამის შესახებ „ვერსიას“ კულუარულ საუბარში სწორედ არასაპარლამენტო ლიდერთაგან ერთ-ერთმა უამბო. მოკლედ, საქმე პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ერთ საინტერესო იდეასა და ახალ ოპოზიციურ, ამჯერად, რეალურ გაერთიანებას ეხება.

ზუსტად ერთი კვირის წინ, 30 იანვარს არასაპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტს შეხვდა. ერთი შეხედვით, ამაში უცნაური არაფერია, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ეს შეხვედრა პრეზიდენტის ინტენსიურ კონსულტაციებს დაემთხვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე წარსადგენი კანდიდატურების გარშემო. ამიტომ ეს შეხვედრაცა და მისი მთავარი თემაც აჟიოტაჟსმიღმა ჩუმად „გაიპარა“. არც დეტალები გახმაურებულა, არც მთავარი გმირები. მხოლოდ ის ითქვა, რომ შეხვედრას ჯონდი ბაღათურია, დიმიტრი ლორთქიფანიძე და „სხვები“ ესწრებოდნენ, მთავარ საკითხად კი საარჩევნო სისტემის რეფორმირება დასახელდა. ცოტა ხნის წინ, ე.წ. ინტერპარტიული ჯგუფი, რომელიც 15-მდე პარტიას აერთიანებს, დავით უსუფაშვილსაც შეხვდა. შედეგად, პარტიებმა განაცხადეს, რომ უსუფაშვილი, როგორც რესპუბლიკელი, არჩევნების მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე თანახმაა, ხოლო, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ამ საქმეს შეუძლებლად მიიჩნევს. ასეცაა — რომელი ხელისუფლება დათმობს გარანტირებულ მხარდამჭერებს, უპარტიო მაჟორიტართა კორპუსის სახით, როცა ამ კორპუსში, ძირითადად, მსხვილი ბიზნესმენები შედიან?! ეს არც შევარდნაძეს გაუკეთებია, არც სააკაშვილს და როგორც ჩანს, უსახსროდ და უპარლამენტოდ დარჩენილი ოპოზიცია ამ „კარგი საქმის მკეთებელს“ ახლა ივანიშვილ-ღარიბაშვილ-მარგველაშვილს შორის ეძებს. ოპოზიციიდან საჯარო კომენტარით მხოლოდ **ჯონდი ბაღათურია** შემოიფარგლა: **„ჩვენი ამოცანაა სამართლიანი არჩევნების ჩატარება და პარლამენტის გაწმენდა იმ პარაზიტებისგან, რომლებიც თავს მაჟორიტარებს უწოდებენ. პრაქტიკულად, ყველა პოლიტიკური ძალა, სამოქალაქო სექტორი ვთანხმდებით, რომ ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემიდან პროპორციულზე უნდა გადავიდეთ. სწორედ ამ მიზნით მოვედით პრეზიდენტთან. ერთადერთი, თვითიზოლაციაში, გაბუტული ბავშვით, პრემიერ-მინისტრია, რომელიც დიალოგზე არ მოდის“.**

„ვერსიისთვის“ კი სულ სხვა დეტალების შესახებ გახდა ცნობილი. ჯერ ერთი, ამ შეხვედრას „ახლებიდან“ მამუკა კაციტაძე, ბურჯანაძის პარტიიდან გიორგი ახვლედიანი, ედპ-დან გია ხოკერაშვილი, ცესკო-ს ექსთავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი, „ახალგაზრდა რეფორმატორებიდან“ ირაკლი ღლონტი, „ვეტერანებიდან“ გია ბერძენაძე, პატრიოტთა ალიანსიდან გოჩა თევდორაძე, ქდმ-დან გოჩა ჯოჯუა, ხოლო პარტია „თავისუფლებიდან“ პოლიტიკაში დაბრუნებული კოკო გამსახურდია ესწრებოდნენ. სხვათა შორის, ყური იმასაც მოვკარით, რომ გამსახურდია, ქდმ-სა და ნინო ბურჯანაძეს შორის მიმდინარე სასამართლო პროცესების შემდეგ, შესაძლოა, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის რიგებშიც ვიხილოთ. პრეზიდენტის მხრიდან კი, მის გარდა, შეხვედრას მისი აპარატის უფროსი დავით პატარაია და პირადი მრჩეველი ესწრებოდნენ. ოპოზიციამ თავიდანვე დაბალი თამასა ასწია და მარგველაშვილს გამოუცხადა, ვიცით, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ შევკრებთ, ამიტომ დიდ რეფორმებს აზრი არ აქვს, პატარ-პატარა საკითხებს გავაძვრენთო. ასეთად არა მაჟორიტარული სისტემის მთლიანად გაუქმება, არამედ საოლქო-პროპორციულ სისტემაზე გადაყვანა დასახელდა. ოპოზიციის პოზიცია მარგველაშვილმა გულწრფელად გაიკვირვა და თქვა, ამას „ოცნება“ თავადაც თუ გააკეთებს, მაშინ ოპოზიციის როლი და დამსახურება

რატომ შესთავაზა პრეზიდენტმა ოპოზიციას ორპალატიანი პარლამენტის იდეა

სადღააო და არასაპარლამენტო ლიდერებს საინტერესო იდეა აქეთ შესთავაზა: ორპალატიან საპარლამენტო სისტემაზე ხომ არ გიფიქრიათო.

პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული ორპალატიანი პარლამენტის მოდელით, საკანონმდებლო ორგანო ორ, ქვედა და ზედა პალატებად დაიყოფა. პირობითად, ქვედა პალატაში „მუშა“ პარლამენტარები ანუ ის ადამიანები შევლენ, ვინც კანონების წერა-კითხვა რეალურად იცის და პარლამენტშიც ამ დამსახურების გამო შევიდა. ხოლო საზოგადოებისთვის საყვარელი სახეები, მომღერლები, მოცეკვავეები, მსახიობები თუ რეჟისორები ზედა პალატაში აინაცვლებენ, მაჟორიტარებთან ერთად. ამ მოდელით, არც მაჟორიტარული სისტემა უქმდება და იქმნება ქვედა პალატის ე.წ. შემაკავებელი ზედა ეშელონი, რომელთანაც ქვედა პალატის მიერ მიღებული ყველა კანონი მოხვდება და მხოლოდ ამის შემდეგ დამტკიცდება.

რეალურად, მარგველაშვილის იდეა, მთავრობის გარდა, ყველას აწყობს: იმასაც, ვინც ვადამდელ არჩევნებს დეპუტატების არაკომპეტენტურობის გამო მოითხოვს, ნაციონალურ მოძრაობასაც, რომელიც ქვედა, ე.წ. მუშა პალატას უხვად დააკომპლექტებს, ასაკოვან დეპუტატებსაც, რომლებიც პარლამენტში სხვადასხვა დამსახურების გამო მოხვდნენ და ზედა პალატაში დაისვენებენ, მაჟორიტარებსაც, რომელთაც ახლა ამ სისტემის გაუქმებით აშინებენ და რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილსაც, რომელიც ყველა ამ ჯგუფთან ვალმოხდილი იქნება, ხალხის მოთხოვნასაც დააკმაყოფილებს და თან, საქართველოს ნამდვილ საპარლამენტო რესპუბლიკად აქცევს. ცხადია, ამ იდეასაც საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება პარლამენტში, კიდევ უფრო ცხადი კი ისაა, რომ პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას ბიძინა ივანიშვილთან შეუთანხმებლად არ მიიღებს. საინტერესო აქ ისაა, რომ ოპოზიციასთან ეს თემა მარგველაშვილმა თავისი ინიციატივით გააჟღერა და დასძინა, რომ იდეის შესახებ ღარიბაშვილ-ივანიშვილთან ჯერ არ უსაუბრია. მანვე წამოსწია ვადამდელი არჩევნების თემაც, იმის პასუხად, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებები არჩევნებამდე მინიმუმ 1 წლით ადრე უნდა შევიდეს. პრეზიდენტმა იკითხა, ვინ აძლევდა ოპოზიციას გარანტიას, რომ ცვლილებებისთვის წინ ერთი წელი ექნებოდათ, ხოლო არჩევნები ვადაზე, ანუ 2016 წელს ჩატარდებოდა. ამის გარანტიები და სურვილი რომ არ არსებობს, ამას ბოლო ხანებში ბიძინა ივანიშვილისა და „ოცნების“ კოალიციის ზოგიერთი წევრის განცხადებებიც მოწმობს. ორპალატიანი პარლამენტის იდეა კი თავში პირველად მარგველაშვილს არ მოსვლია. ამაზე საუბარი 1995 წელსაც იყო და 2003-შიც, ჟვანიას პარლამენტის დროს, თუმცა იდეა ორივეჯერ ჩაიფარცხა. მარგველაშვილს ამ თემის გაჟღერება თავისი სახელით რომ ნდომებოდა, ალბათ, პასიურ, არასაპარლამენტო ოპოზიციას არ დაელოდებოდა და თავად იტყოდა. მით უმეტეს, ორი წელია ვარკვევთ, ვინ ვისთან დაწყვილდება ოპოზიციაში და ერთ-ერთი ლიდერის ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ე.წ. ოპოზიციური შვიდიანი გამოიკვეთა. თუკი ეს „შვიდიანი“ ორპალატიანი პარლამენტის თემას წამოწევს, მისი და ამ იდეის პოპულარობა შედარებით გაიზრდება. ამ „შვიდიანში“ კი კახა კუკავა, ზურაბ ხარატიშვილი, მამუკა კაციტაძე, ბაჩუკი ქარდავა, გოჩა ჯოჯუა, ირაკლი ღლონტი და ჯონდი ბაღათურია მოიაზრებიან. მეტიც,

„ვერსიის“ ინფორმაციით, კახა კუკავას პარტიის წევრმა, გოგი წულაიამ ამ იდეის ინიციატივად ქცევისთვის უკვე ზომებს მიმართა და ქუთაისში ხელმოწერებს აგროვებს. ცოტა ხანში კი, თუკი ე.წ. ოპოზიციური შვიდეულის გაერთიანება შედგა, ორპალატიანი პარლამენტის იდეის ფართო კამპანია დაიწყება.

და ბოლოს, ინტერპარტიული ჯგუფი 5 თებერვალს, დილის 11 საათზე სასტუმრო „ვერე პალასში“ შეიკრიბა და ორწლიანი დაკვირვების შემდეგ დაასკვნა, რომ თუკი კონსტიტუციასა თუ ქვეყნის ცხოვრებაში რეალური ცვლილებების შეტანა სურს, ირაკლი ღარიბაშვილთან კი არა, შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან უნდა მოითხოვოს. ჩვენი ინფორმაციით, არასაპარლამენტო ოპოზიცია ქვეყნის „პირველ მოქალაქეს“ შეხვედრას საჯაროდ რამდენიმე დღეში სთხოვს.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლები კომერციული მოსყიდვის ფაქტზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ამხილეს და დააკავეს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლები — 1968 წელს დაბადებული ვასილ გოგოლაძე და 1973 წელს დაბადებული გოჩა კოპაძე.

გამოძიებით დადგინდა, რომ „ბორჯომის სადგურის“ ხელმძღვანელი გოჩა კოპაძე და „ბორჯომის სადგურის“ მთავარი ინჟინერი ვასილ გოგოლაძე 2014 წლის სექტემბრის თვიდან 2015 წლის თებერვლამდე მოქალაქეს, რომელიც ქალაქ თბილისში, „ბორჯომის სადგურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არაოფიციალურ ავტოსადგომზე განთავსებულ ავტომანქანებს მეთვალყურეობას უწევდა, ყოველდღიურად სთხოვდნენ და ართმევდნენ 150 ლარს. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი ავტოსადგომიდან გაგდებით ემუქრებოდნენ იმ მოტივით, რომ აღნიშნული ტერიტორია „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრება იყო.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-ს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და ანკარის ინტერპოლის ბიუროს თანამშრომლობის შედეგად წითელი ცირკულარით ძებნილი პირი დააკავეს



შსს-ს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და ანკარის ინტერპოლის ბიუროს თანამშრომლობის შედეგად, ქალაქ ბათუმში, ანკარას ინტერპოლის მიერ 2014 წლის 4 ნოემბრიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1947 წელს დაბადებული მუსტაფა ბესიკჩი დააკავეს.

მუსტაფა ბესიკჩის ბრალად ედება თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 86/1, 86/3-ე, 87/1-დ, 62 და 53/1-ა, ბ, დ, ე, ც მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას ცივი იარაღის გამოყენებით. 2009 წლის 2 სექტემბერს ქალაქ რიზეში მუსტაფა ბესიკჩიმ დანის გამოყენებით მუცლის არეში სხეულის დაზიანება მიაყენა თურქეთის მოქალაქე თუნჩაი იენიგუნს.

ამ დროისთვის მუსტაფა ბესიკჩი დაკავებულია და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

თხილის ფასმა, შესაძლოა, მალე 12 ლარს მიაღწიოს

თხილის ფასმა კიდევ ერთი რეკორდი მოხსნა — რამდენიმე დღის წინ 1 კგ თხილი 11 ლარზე მეტი ღირდა. იმის მიუხედავად, რომ თხილის ფასი კვლავ 11 ლარზე ჩამოვიდა, ზუგდიდელი ბიზნესმენები ფასის მომატების მოლოდინში არიან. კობა ფაჟავა, თხილის რეალიზატორი: **„პატარა ქარხნები ამ დროისთვის 11 ლარში იბარებენ, ოღონდ საუკეთესო ხარისხის თხილს, რომელსაც თავად არჩევენ — შეძენამდე, იქვე ამტვრევენ რამდენიმეს და საგულდაგულოდ ამოწმებენ. ჩვენ გრძელვადიანი კონტრაქტორები გვყავს: თურქები, იტალიელები და გერმანელები, რომლებიც მუდმივად აკვირდებიან დოლარის კურსს და თავს იზღვევენ. დოლარის კურსის ცვლილებასთან ერთად, თხილის ფასიც თამაშობს. ეს პერიოდი ბიზნესმენებისთვის ძალიან რთული და სახიფათოა, რადგან თხილს ჩვენ ლარში ვიბარებთ და დოლარში ვყიდით. უახლოეს დღეებში არ გამოვრიცხავ, რომ საუკეთესო ხარისხის თხილის ფასი 12 ლარამდე აინევს“.**

bpn.ge

ათონელზე რეზიდენციის მშენებლობა დასრულდა — ვინ გადავა ორბელიანების სასახლედწოდებულ შენობაში

გიორგი იაშვილი

„ვერსია“ უკვე წერდა, ათონელის №25, ორბელიანების სასახლედწოდებულ შენობაში მოწყობილი რეზიდენციის მშენებლობის დასრულების შესახებ. რადგან პროცესს ადევს გრიფი „საიდუმლო“, ჯერჯერობით უცნობია, რა სახე მიიღო ვანო მერაბიშვილის მიერ გაბერილი ბიუჯეტით დაწყებულმა და ახლანდელი მთავრობის მიერ დასრულებულმა რეზიდენციამ. მშენებლობა კომპანია „არტესმა“ დაიწყო და სახელმწიფო ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიამ დაასრულა.

არსებული ინფორმაციით, რეზიდენციის მშენებლობა-მოწყობის თანხამ დაახლოებით 30 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა ამ მთლიანი ღირებულებიდან 3 მილიონ ლარზე, კომპანია „არტესის“ წინააღმდეგ სასამართლო დავა მიდის. მიზანი არამიზნობრივად გახარჯვის გამო თანხის დაბრუნებაა.

რეზიდენციის სასარგებლო ფართი რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრია. ფართობი, გარდა სამუშაო კაბინეტებისა, საკმარისია, რომ შენობაში გაიმართოს მაღალი დონის მიღება-შეხვედრები. სამუშაო სივრცის გარდა, რეზიდენციაში საცხოვრებელი ფართიცაა გათვალისწინებული.

არქიტექტორთა ჯგუფის თავდაპირველმა პროექტმა ცვლილებები განიცადა და საბოლოოდ, ისტორიულ იერსახეს მიახლოებული სახე მიიღო. დღეს ათონელის რეზიდენცია უკვე მზადაა ახალი ბინადრის მისაღებად.

მიუხედავად გრიფისა — „საიდუმლო“, მშენებლობა, შეიძლება ითქვას, გამჭვირვალედ წარიმართა და ხარჯვის პროცესიც საიდუმლო არ არის, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობა სრულიად ბუნდოვან ვითარებაში მიმდინარეობდა.

ავლაბრის რეზიდენციის ხარჯებზე დოკუმენტაცია არც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში იძებნება. ერთადერთი, ცნობილია, რომ მხოლოდ შენობის მოწყობისთვის (განათება და ა.შ) თითქმის 600 ათასი ლარია დახარჯული.

რადგან ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობის ხარჯი ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, ამ ეტაპზე, მედიისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც რამდენიმე წლის წინ ასევე სხვადასხვა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს. ერთ-ერთ გაზეთში დაიწერა, რომ ხარჯებმა 800 მლნ დოლარს გადააჭარბა. ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალურად განწყობილი ტელეკომპანია კი იუწყებოდა, რომ 4 წლის განმავლობაში მშენებლობაზე 40 მლნ დოლარი დაიხარჯა.

ავლაბრის რეზიდენციის შესახებ სტატია განთავსებულია ვიკიპედიაშიც, სადაც მოყვანილია ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 2009 წლის 11 ივლისის განცხადება მშენებლობის ხარჯებთან დაკავშირებით: **„სასახლის აშენება დაჯდა, დაახლოებით, პროცენტის მეხუთედზე ნაკლები მთელი საბიუჯეტო ხარჯების, რომელიც გაწია ჩვენმა ქვეყანამ ბოლო 5 წლის განმავლობაში“.**

2012 წლის წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყნის ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია ათონელის №25-ში გადაეტანა, სადაც წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაგეგმილი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის მშენებლობა. ამის გაგრძელებად, საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, უარი თქვა ავლაბრის რეზიდენციაში მუშაობაზე და ახალი რეზიდენციის სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე, დროებით სახელმწიფო კანცელარიის შენობაში გადავიდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ავლაბრის რეზიდენციაში უნივერსიტეტი უნდა განთავსებულიყო, თუმცა 2014 წლის გაზაფხულზე, შენობაში პრეზიდენტი მარგველაშვილი შევიდა და განმარტა, რომ მას სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად სამუშაო გარემო სჭირდებოდა.

ათონელის ქუჩაზე მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოს დასრულების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებენ მთავრობის წევრებიც, თუმცა, რომელი უწყება გადავა შენობაში, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია უნდა განთავსებულიყო, ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის.

ჯანდაცვის მინისტრ **დავით სერგეენკოს** განცხადებით, მთავრობამ ამ საკითხზე რამდენჯერმე იმსჯელა: **„რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა, რომ ეს ყოფილიყო მაგალითად, მაღალი დონის დელეგაციების შეხვედრის ადგილი, რომ ეს ყოფილიყო რამდენიმე სახელმწიფო სამინისტროს სამუშაო ადგილი, თუმცა მე ვფიქრობ, რომ შერჩეული იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება და ფუნქციონირებას მალე დაიწყებს“.**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, **დავით შავლიაშვილის** განცხადებით, თბილისში, ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციის სარემონტო სამუშაოები დასრულებულია და ამჟამად მიმდინარეობს მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა. მისივე თქმით, ჯერჯერობით, რეზიდენციის სტატუსი გაურკვეველია. შავლიაშვილი საიდუმლო გრიფის მოხსნამდე ვერც ხარჯებზე საუბრობს. მინისტრის ინფორმაციით, ობიექტს საიდუმლო გრიფი მაშინ მოეხსნება, თუკი იქ პრეზიდენტი არ გადავა. **„გრიფის მოხსნა დამოკიდებულია რეზიდენციის სტატუსის გადაწყვეტაზე“.**

გარემოს დაცვის მინისტრის ინფორმაციით, შენობაში ბოლო სამუშაოების ეტაპია დარჩენილი და იქ რომელიმე უწყების გადასვლის საკითხზე მთავრობა იმსჯელებს. **ელგუჯა ხოკრიშვილი: „ალბათ მთავრობა იმსჯელებს, რა უნდა განთავსდეს ამ შენობაში. თავიდან იგი უსაფრთხოების, სტანდარტების მიხედვით, ისე დაიგეგმა, რომ იქ პრეზიდენტი უნდა შესულიყო“.**

ათონელის რეზიდენციის მასშტაბი, შესაძლოა, უფრო ერგებოდეს პრეზიდენტის მოთხოვნებს, ვინაიდან მშენებლობა უკვე დასრულდა, დაპირებისამებრ, ამა წლის გაზაფხულზე, საბოლოოდ გაირკვევა, როგორ გადანაწილდება სამთავრობო რეზიდენციები.

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველი სხდომა ჩხუბით გაიხსნა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ამნისტია „უბილეთო მგზავრებს“, პატიმრობა ოჯახის წევრებზე მოძალადეებს, სამი ახალი წევრი ცესკო-ში და წამგებიანი კანონი კერძო ტელევიზიებისთვის

პარლამენტში საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა, 4 თებერვალს, გარდაცვლილი დეპუტატის, თამაზ ავდალიანის ხსოვნისთვის პატივის მიგების შემდეგ, ჩხუბით გაიხსნა — დეპუტატებმა 2014 წლის ბოლო სხდომაზე აკაკი ბობოხიძესა და ზურაბ ზვიადაურს შორის მომხდარი დაპირისპირების დეტალები ხელახლა გაარჩიეს და თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს სხდომის იძულებით, ნახევარსაათიანი შეწყვეტა მოუხდა.

ვითარება ნაციონალი დეპუტატის სიტყვით გამოსვლამ დაძაბა. ბობოხიძემ წყალტუბოს იმ 10 სოფელში შექმნილ პრობლემაზე ისაუბრა, რომელიც, მისი თქმით, 100 მილიონამდე საექსპორტო პროდუქციას აწარმოებს. ამ სოფლებში ნაციონალებმა ორივე არჩევნები წაგაგეთ, მათ თქვენ უნდა მიხედოთო. ბობოხიძემ მემწვანილეების აქციაც დააანონსა და „ოცნება“ დაარწმუნა, გაკოტრებულ ხალხს დღევანდელ სხდომამდე მოცლა მე ვთხოვეო. უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე მაშინვე გამოეპასუხა: ბოლო სხდომის შემდეგ ვიცოდით, რომ ბობოხიძეს ბოდიში უნდა მოეხადა, მე კი უმრავლესობის წევრებს ვთხოვე, კაკოს ლანძღვისგან თავი შეეკავებინათ. მობოდიშების ნაცვლად ბობოხიძეს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადო. საგანელიძის სიტყვებს, უწყვეტ ფონად ჯაჭვლიანი-ბობოხიძის არცთუ ხმადაბალი გადაძახილები გასდევდა. ბობოხიძეს, უმრავლესობის დაჟინებული თხოვნით, მიკროფონი ხელახლა ჩაურთეს იმედით, რომ მოიბოდიშებდა. მან „უზარმაზარი ბოდიში“ მართლაც მოიხადა, ოღონდ საზოგადოების წინაშე, განაცხადა, რომ კონკრეტულად არცერთი დეპუტატისთვის არ შეუგინებია. მისი სიტყვა კვლავ რეზონანსული აღმოჩნდა, დავაში მთელი დარბაზი ჩაერთო და ნაწყვეტ-ნაწყვეტ რამდენიმე ინფორმაციაც გაისმა: უსუფაშვილი აღშფოთდა, ან აქ დასვით წერტილი, ან სადმე სხვაგან იჩხუბეთო, საგანელიძემ ბობოხიძეს წამოაძახა, შენს საქმეებს ჩემთან ბაქრაძე აგვარებდაო, ბობოხიძემ წამოიძახა, უმრავლესობის დეპუტატებს ჩამოვურეკე ბოდიშის სათითაოდ მოსახდელადო... შედეგად, პარლამენტში ნახევარსაათიანი, დაუგეგმავი შესვენება გამოცხადდა. სადეპუტატო გამოსვლები მანანა კობახიძის თავმჯდომარეობით გაგრძელდა. ნუგზარ წიკლაური თამაზ მეჭიაურმა შეცვალა, მეჭიაური — ჩილინგარაშვილმა, რომელმაც უსუფაშვილს მოსთხოვა, ვაზისუბანში ცემით მოკლული ბიჭის საქმე პირად კონტროლზე აიყვანეო. შემდეგ ზურაბ ჯაფარიძე გამოვიდა სიტყვით, მას გუგული მაღრაძე, გიორგი ღვინიაშვილი, ნუკრი ქანთარია და გიორგი ვაშაძე მიყვნენ. **ქანთარიამ** გამოსვლას საინტერესო პასაჟიც დაურთო: **„საზოგადოებამ იცოდეს, რომ არ გავჩერდებით და სამართლიანობის აღდგენის პროცესს ბოლომდე მივიყვანთ. თუკი საჭირო იქნება, ვადამდელ არჩევნებზეც კი უნდა წავიდეთ“.** ამის შემდეგ ომარ ნიშნიანიძემ ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაფუძნების საკითხი დასვა. შემდეგ ისევ შესვენება გამოცხადდა, ამჯერად, ერთსაათიანი. პაუზის მერე დეპუტატები კანონპროექტების განხილვაზე გადავიდნენ. პირველი, რაც მესამე მოსმენით განიხილეს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი“ იყო. შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ პარლამენტს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები მეორე მოსმენით, მუხლობრივ განხილვაზე წარუდგინა. ამ პაკეტში აღსანიშნავი მესამე პუნქტია, რომლის მიხედვით, ოჯახის წევრებზე მოძალადეები, შესაძლოა, 1 წლით დააპატიმრონ. მარიამ საჯაიას განცხადებით ამ ცვლილების გამო, იმის ალბათობაც არსებობს, ოჯახის წევრებმა სამართალდამცავებს საერთოდ არ მიმართონ. გიორგი გაჩეჩილაძემ საინტერესო სტატისტიკა წარმოადგინა — გამოკითხულთა 60% ე.წ. მკაცრი აღზრდის მეთოდებსა და 45% ოჯახში ფიზიკური ძალის გამოყენებას ნორმალურად მიიჩნევს. ეკა ბესელიამ კი განაცხადა, ქალთა ძალადობის წინააღმდეგ პრევენციისთვის არასამთავრობოთა ჯგუფი შეიქმნა, რომელიც 3 თვეში რეკომენდაციებს მოამზადებსო. შემდეგ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ წარადგინა ამნისტიის პროექტი — საქმე 21 000 უბილეთო მგზავრს ეხება, რომელიც ჯარიმას ვერ იხდის, ხოლო 3-ლარიანი ჯარიმის ამოღება სახელმწიფოს 47 ლარი უჯდება. დაჯარიმებულთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი, სტუდენტი ან პენსიონერია. როგორც პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, ნაციონალური მოძრაობა ამნისტიას მხარს უჭერს. თუმცა მომავალში, დაჯარიმებისა და ამოღების უფრო ეფექტურ მექანიზმზე შეთანხმება ითხოვა. პირველი მოსმენით განიხილეს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტიც, რომელიც გედევან ფოფხაძემ წარადგინა და იგი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების წესებს ეხება. განიხილეს ცესკო-ს წევრის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურებიც. დღის ბოლოს პარლამენტმა ყველა კანონპროექტი მიიღო და პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამივე კანდიდატურა, ზურაბ ხრიკაძე, გიორგი ჯავახიშვილი და გიორგი ჭიქაბერიძე ცესკო-ს წევრებად დაამტკიცა.

5 თებერვალს პარლამენტი ისევ ქუთაისში, მორიგ პლენარულ სხდომაზე შეიკრიბა. დღის წესრიგით კი სხდომაზე პირველი და მეორე მოსმენით განსახილველი 18 კანონპროექტი მოგროვდა. მათ შორის, მაუწყებლობის შესახებ კანონში კომერციული რეკლამის ნაწილის ცვლილებების შესახებ. კანონი დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძემ წარადგინა. კანონში რამდენიმე ცვლილება კომიტეტებმა ჯერ კიდევ 2014 წელს გაიარეს. მაშინ განხილვები პარლამენტში დეპუტატ ჟორჟოლიანისა და „რუსთავი 2“-ის გენდირექტორის, ნიკა გვარამიას ჩხუბით დასრულდა. ცვლილებები ტელემედიამ გააპროტესტა. პროექტში შემდეგი ცვლილებები აისახა: ამოღებულია ნორმა, რომელიც მაუწყებლობის ხანგრძლივობის მიხედვით კომერციული რეკლამისთვის დაწესებულ 20%-იან შეზღუდვას ითვალისწინებს. ტყემალაძის თქმით, 20%-იანი შეზღუდვა ყოველ საათში ამოქმედდება. მისივე განმარტებით, სპონსორობის შესახებ დაწესებული ახალი დეფინიცია ძალაში 2016 წლის 15 იანვრიდან შევა. პროექტიდან ამოღებულია ნორმა, რომლის მიხედვით, ანონსებში სპონსორობაზე მითითება იკრძალება. ნორმა, რომელიც პროგრამებსა და ანონსებში სპონსორობისას საათში 5%-იან ლიმიტს ადგენს, ძალას 2016 წლის 15 იანვარს დაკარგავს. 2017 წლის 15 იანვრიდან ახალი ამბების სარეკლამო ჭრა მხოლოდ ნახევარ საათში ერთხელ გახდება დასაშვები. ე.წ. გარდამავალ პერიოდში კი — 15 წუთში ერთხელ. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ძალაში მიმდინარე წლის 1 აპრილიდან შევა.

დეპუტატების ძირითადი კითხვაცა და პრეტენზიაც კანონის ამოქმედების ვადას შეეხება — ნაციონალები ვადის გადაწევას 2019 წლამდე ითხოვდნენ. მათივე მოსაზრებით, ეს ცვლილება ტელემედიას დაარტყამს, კომერციული რეკლამის ფასს გააძვირებს, დამკვეთებმა, შესაძლოა, უარი თქვან გაძვირებული სარეკლამო დროის ყიდვაზე, ტელევიზიები კი შემოსავლის გარეშე დარჩებიან. ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, ტელემედიამ, რომელიც ამ კანონის დაუყოვნებლივ ამოქმედებით მილიონებს დაკარგავს, შესაძლოა, ძიება დაფინანსების სხვა, უკანონო წყაროებს დაუწყოს, რაც სარედაქციო დამოუკიდებლობას დააკარგვინებს. გუგული მაღრაძე, გოგი თოფაძე და ნუკრი ქანთარია კი საოცარი სიტყვით გამოვიდნენ — დიდი ამბავი, ტელევიზიები ცოტა ქამრებს შემოიჭერენ, ეს კანონი არავის უფლებებს დაარღვევს, ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც 2007 წელს „იმედის“ უფლებები დაირღვაო. გარჩევა ცხარე დებატებში გადაიზარდა და ბოლოს, ტყემალაძემ ნაციონალებს ლეღვის ფოთლები უწოდა. საბოლოოდ, კანონს მხარი თავისუფალმა დემოკრატებმა და ნაციონალებმა არ დაუჭირეს.

ექსკლუზიური ინტერვიუ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილესთან

ილია ელოშვილი: „ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მივაღწევთ“

ვინ არის პასუხისმგებელი საქართველოში დენის გათიშვაზე და რა ათწლიანი გეგმა შეიმუშავა სამინისტრომ ენერგოპრობლემების გადასაჭრელად

ერუსუდან ხავთასი

ენერგეტიკის სამინისტროს სამუშაო პროცესისა და ამ სფეროში ყველაზე პრობლემური საკითხების შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი საუბრობს. მისი თქმით, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ხელოვნურად ცდილობს, სამინისტროს შავი პიარი აუგოროს და უსაფუძვლოა ხმები, თითქოს საქართველოში 90-იანი წლები დაბრუნდა.

— ენერგეტიკის სამინისტრო ზოგადად განსაზღვრავს ქვეყნის ენერგეტიკულ პოლიტიკას. ჩვენ ხელს ვუწყობთ ინვესტორებს, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ. დღეს განსაკუთრებული აქცენტი ჰიდრორესურსების რაციონალურ ათვისებაზე კეთდება. ჩვენი ენერგობალანსისა და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ცხადია — თუ ამ რესურსებს არ განვავითარებთ, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა არ გვექნება. ეს კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ საკითხებს. ამიტომ ჩვენთვის ინვესტიციები მხოლოდ ეკონომიკური აქტივობა არ არის. ეს არის ენერგოდამოუკიდებლობის გარანტი და სწორი მიდგომით, ინვესტორებისთვის სწორად შერჩეული პირობებით, ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მივაღწევთ.

— რამდენად შესაძლებელია საქართველომ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მართლაც მიაღწიოს?

— ენერგეტიკულად სრულიად დამოუკიდებელი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს. აქ საუბარია არა მხოლოდ ელექტროენერგიაზე, გაზზე, ნავთობზე. მთავარია, რა დოზით ვიქნებით დამოკიდებულნი პარტნიორებზე. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ელექტროენერგიაა. მოსახლეობა მტკივნეულად აღიქვამს დენის თითოეულ გათიშვას. არცთუ შორეულ წარსულში, ქვეყნის რეგიონების დიდი ნაწილი ჩამქრალი იყო და ელექტროენერგია გრაფიკით მოგვეწოდებოდა. მადლობა ღმერთს, ის პერიოდი გადავიტანეთ, თუმცა ეს არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას. ჩვენ დეფიციტი გვაქვს, რადგან ელექტროენერგიის მოწოდების ორი ძირითადი წყარო, რომლებიც ადგილზე აწარმოებს ელექტროენერგიას, ჰიდროელექტროსადგურები და თბოელექტროსადგურები, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოსახლეობის მოთხოვნას სრულად ვერ ფარავს. ვითარებას ისიც ართულებს, რომ ელექტროენერგიის შენახვა შეუძლებელია. ერთადერთი საშუალებაა, შევინახოთ წყლის სახით რეზერვუარებში.

გარდაბანში ახალ, 230-მეგავატიან თბოელექტროსადგურს ვაშენებთ. თბოელექტროსადგურები აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ გაზზე მუშაობს და მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიას აქ ვაწარმოებთ, ეს მაინც ვერ ჩაითვლება ჩვენ მიერ წარმოებულ პროდუქტად. ეს სფერო რომ განვითარდეს, დიდკაშხლიანი ჰესები უნდა აშენდეს. ზომის თვალსაზრისით, სწორედ ასეთი ჰესები განაპირობებს ენერგოდამოუკიდებლობას. ეს სადგურებია ნამახვანი, ხუდონი და ნესკრა. თუკი ისინი აშენდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2030 წლამდე თითქმის დავაღწევთ თავს ენერგოდამოკიდებულებას. სათქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად — რთული. ბევრი სამუშაო გველის. ასევე შეიძლება, ქარისა და მზის ენერგია გამოვიყენოთ, რაც ასევე დაგვეხმარება, თუმცა გადამწყვეტი როლი არ ექნება.

— ელექტროენერგიის გათიშვისას უკმაყოფილო კომენტარები, ძირითადად, ენერგეტიკის სამინისტროს მისამართით ისმის. რეალურად ვინ აგებს პასუხს გათიშვებზე?

— ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ენერგეტიკის სფეროში, ნებისმიერ საკითხზე, ტარიფები იქნება თუ მიწოდების სტაბილურობა, ძალიან დიდი დოზით გვაქვს აღებული პასუხისმგებლობა. დღე-ღამის განმავლობაში, ყოველ სამ საათში ერთხელ, „ენერგოპროდან“ და „თელასიდან“ ვიღებთ ზუსტ ინფორმაციას, რამდენ აბონენტს არ მიეწოდება ელექტროენერგია და ვაკონტროლებთ, რაც შეიძლება მალე აღუდგინონ. კომპანიებს, რომლებიც რეალურად არიან პასუხისმგებლები თითოეულ გათიშვაზე, მოვუწოდებთ, მაქსიმალურად შეამცირონ ავარიების სარეაბილიტაციო პერიოდი, სამუშაოები ქსელში აწარმოონ, რათა მდგომარეობა, ყოველწლიურად უფრო გაუმჯობესდეს. ამას ენერგეტიკის სამინისტრო აკონტროლებს. მთავარია, გავარკვიოთ, რა არის ავარიების მიზეზი. ჩვენი ინფრასტრუქტურის 90%, რომლითაც ენერგიას ვაწარმოებთ, 30-35 წლისწინანდელი და შესაცვლელია, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ერთბაშად გამოცვლა შეუძლებელია. ვცდილობთ, მოსახლეობამ გონივრული ტარიფი მიიღოს და მძიმე ტვირთად არ დააწვეს. ბოლო ათწლეულია, მეტ-ნაკლებად, დაიწყო გეგმური რეაბილიტაცია. ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ და მოძველებული ინფრასტრუქტურის გამო არ უნდა შევეგუოთ ელექტროენერგიის გათიშვებს, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, წელს გათიშვა, ძირითადად, ორჯერ მოხდა. წინა წლების სტატისტიკასაც თუ გადავავლებთ თვალს, ასეთი შემთხვევები ადრეც იყო. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. გამოსავალი ქვესადგურების რეაბილიტაციაა. მიმდინარეობს ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობა და ამის გრაფიკი უკვე დამტკიცებულია. ათწლიანი გეგმა გვაქვს. დაფინანსებაც მოვიპოვეთ. კონკრეტულად სხვადასხვა რეგიონისა თუ ქუჩის გათიშვაზე კი, პასუხისმგებლობას იღებენ „თელასი“ და „ენერგოპრო“. გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში გეგმური გათიშვები იყო. დღეს ასეთი რამ აღარ ხდება, რაც იმის შედეგია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და ზამთარს მომზადებულები დავხვდით. გეგმური გათიშვისას ყოველთვის წინასწარ ვაფრთხილებთ მოსახლეობას. სჯობს, ცოტა ხნით ჰქონდეთ დისკომფორტი და პრობლემა აღმოიფხვრას, ვიდრე შემდეგ რამდენიმე დღე მოხდეს გათიშვა. ასეთივე ვითარებაა „ენერგოპროშიც“. გათიშვების მიზეზი ხდება ხოლმე მშენებლობაც, მიწის გათხრები და, ზოგადად, ჩვენი ზერელე დამოკიდებულება — მოდი, გათხარე და რაც მოხდება, მოხდება... ამასაც ვერ ავცდებით, რადგან შეუძლებელია, ყველა სამშენებლო კომპანია ვაკონტროლოთ. „თელასს“ მიწის ქვეშ ძალიან დიდი საკაბელო მეურნეობა აქვს და წვიმის დროს ზიანდება. მათი ერთბაშად გამოცვლა უტოპიაა, თუმცა ვცდილობთ, დავაფიქსიროთ, სად არის ყველაზე კრიტიკული ცენტრები. საბოლოოდ, ეს გეგმური გათიშვებიც უნდა შემცირდეს. გათიშვების მიზეზი შეიძლება იყოს ქარი, ავარია. დამერწმუნეთ, ბრიგადები, რომლებიც დღეს მუშაობენ, თითოეულ დაზიანებაზე, დღისით თუ ღამით, მყისიერად გადიან და ასრულებენ საქმეს. მათი დამსახურებაა, რომ ეს პრობლემები დროულად გვარდება. ეს ადამიანები, გმირულად შრომობენ. თითოეული გათიშვის შესახებ ინფორმაცია სამინისტროში მოდის. ჩვენი რეაქციაც დაუყოვნებელია. ამ პროცესებს პირადად ვაკონტროლებთ. ბევრი ცდილობს, ამაზე შავი პიარი აუგოროს ენერგეტიკის სამინისტროს. გვხვდება სტატუსები სოციალურ ქსელშიც, სადაც ცდილობენ, ისეთი სურათი დახატონ, თითქოს 90-იანი წლები დაბრუნდა. 90-იანები არასოდეს დაბრუნდება არც ენერგეტიკაში და არც სხვა სფეროში.

— რომელია ყველაზე პრობლემური რეგიონი ელექტროენერგიის მიწოდების კუთხით?

— ზემო აჭარა, ასევე მთიანი რეგიონები... „ენერგოპროს“ პირველი მტერი ქარია. დიდი პრობლემაა გზებიც. დიდთოვლობისას დაზიანების ადგილამდე ფიზიკურად ვერ ვაღწევთ. ერთხელ, მესტიაში ათი ათასი აბონენტი გაითიშა და ჩვენმა ბრიგადებმა ფეხით სამი საათი იარეს. მინდა, ამ დროს მათთან ერთად ვიყო. რთულია ჩვენი ქსელის ოპერირება, მაგრამ ენერგეტიკის სამინისტრო და კომპანიები წარმატებით ართმევენ თავს. ვისაც სურს, დამეთანხმოს და ვინც ასე არ ფიქრობს, ნუ დამეთანხმება. ეს ჩემი პირადი პოზიციაა.

მთავრობა 4%-იან ეკონომიკური ზრდას ელის

ბიუჯეტით გათვალისწინებული 5%-იანი ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, საქართველოს მთავრობა წელს 4%-ზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას ელის.

როგორც ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, **„დაზუსტდა მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები. ყველა ჩვენს მეზობელ ქვეყანას ეკონომიკაში სტაგნაცია ექნება. სომხეთისა და მოლდოვას ეკონომიკური ზრდის პროგნოზი მიმდინარე წლისთვის 0% დაფიქსირდა. წელს ელოდებიან რუსეთში დაცემას, გასაგები მიზეზების გამო. ბელორუსში იქნება დაახლოებით 0%-იანი ეკონომიკური ზრდა, აზერბაიჯანში — 1,5%. ამ ეტაპისთვის ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური ზრდა მიმდინარე წლისთვის 4%-ზე მაღალი იქნება“.**

მიმდინარე წელს 5%-იანი ეკონომიკური ზრდა იყო დაგეგმილი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ კი, მთავრობას მოუწოდა, 5%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზს გადახედოს, შემცირების მიმართულებით.

bpn.ge

მთავრობა სტუდენტებს სარეზერვო ფონდიდან 27 725 ლარით დააფინანსებს

7 ეთნიკურად ყარაჩაელი, ჩეჩენი და ჩერქეზი სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 27 725 ლარი გამოიყოფა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის მიმართულებაზე, ბაკალავრიატის საფეხურზე ამ ეტაპზე 7 სტუდენტი ირიცხება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით, 7 ეთნიკურად ყარაჩაელი, ჩეჩენი და ჩერქეზი სტუდენტის სწავლის საფასური მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაიფარება: **„კავკასიოლოგიის ფაკულტეტი რეგიონში მხოლოდ საქართველოში არსებობს. შესაბამისად, ჩრდილოკავკასიელ ხალხთან მრავალწლიანი კეთილმეზობლური ურთიერთობებიდან გამომდინარე, რეგიონის ახალგაზრდები განათლებას სწორედ საქართველოში იღებენ. სტუდენტთა დაფინანსებას ორი წლის განმავლობაში „კავკასიის ფონდი“ უზრუნველყოფდა, რომელმაც ფუნქციონირება 2013 წელს შეწყვიტა. სტუდენტები ერთი სემესტრის განმავლობაში ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი სახის ხარჯების დაფარვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არც ერთი პროგრამა არ ითვალისწინებს, სამინისტრომ დააყენა აღნიშნულ სტუდენტთა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსების საკითხი, რაც დადებითად გადაწყდა“.**

bpn.ge

ვერსიანიუსი

მერია ტაქსების ლიცენზირების საკითხზე მუშაობას იწყებს

თბილისის მერია ტაქსების ლიცენზირების საკითხთან დაკავშირებით მუშაობას იწყებს.

მერიის ადმინისტრაციაში ადასტურებენ, რომ ამ საკითხზე მუშაობა ნამდვილად დაიწყო, მაგრამ კონკრეტულ პროექტზე, რეგულაციებსა თუ მათი ამოქმედების ვადებზე არ საუბრობენ:

„რაიმე კონკრეტულის თქმა ჯერ არ შეგვიძლია. რამდენიმე სამსახური ერთობლივად მუშაობს“.

დღეს არსებული კანონმდებლობით, აღნიშნული სფერო არ რეგულირდება და ნებისმიერ მსურველს შეუძლია, შეიძინოს ტაქსის ნიშანი და მგზავრებს მოემსახუროს.

bpn.ge

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ავტოგაზი და პროდუქტი ძვირდება?

რატომ უზრდის გაზის ტარიფს იურიდიულ პირებს მონოპოლისტი „სოკარი“ და რატომ წესდება შეღავათები მხოლოდ პურის ქარხნებზე

2015 წლის 1 მარტიდან, „სოკარ ჯორჯია გაზი“ კომერციულ მომხმარებლებს ბუნებრივი გაზის ღირებულებას 10 თეთრით გაუზრდის. პურის ქარხნების გარდა, ახალი ტარიფი ყველა კატეგორიის კომერციულ მომხმარებელს ეხება. კომპანიაში აცხადებენ, რომ „სოკარ ჯორჯია გაზი“ ყველა კატეგორიის კომერციული მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი ბუნებრივი აირის ფასს 90 თეთრით, დღგ-ს ჩათვლით განსაზღვრავს. თუმცა „სოკარში“ იმასაც ადასტურებენ, რომ აღნიშნული ტარიფი, ლარის კურსის დარეგულირებამდე შენარჩუნდება. ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვანი ცვლილების გამო, 2015 წლის 1 მარტიდან, შპს „ყაზტრანსგაზთბილისიც“ აძვირებს გაზს არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის — იურიდიული პირებისთვის. მისაწოდებელი გაზის ტარიფი, ყოველ 1000 კუბურ მეტრზე, კომპანიამ 900 ლარით — დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით განსაზღვრა. „სოკარ ჯორჯია გაზის“ ამ ინიციატივას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 5 თებერვალს გამართულ მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კომპანიასთან ერთად, მთავრობა ყველა გზას გამონახავს, რათა ამ ეტაპზე გაზი არ გაძვირდეს!

„ამ ეტაპზე გაზი არ გაძვირდება!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, იურიდიული პირებისთვის გაზის გაძვირებასთან დაკავშირებით, „სოკარ ჯორჯია გაზი“ და მთავრობა არ უნდა აჩქარდეს. მისი თქმით, ჯერ კიდევ არის დრო, მხარეებმა ყველაფერი კარგად გააანალიზონ: **„მივაღწევთ, რომ იურიდიული პირებისთვის გაზის საფასური არ გაიზრდება! ჩემი დავალებით, ეკონომიკურმა საბჭომ დაიწყო ამ საკითხის შესწავლა და გამოვნახავთ გზებს, რათა ამ ეტაპზე, გაზის გაძვირება თავიდან ავიცილოთ. „სოკარის“ წარმომადგენლებთან გვქონდა კომუნიკაცია. ისინი მზად არიან, მოვილაპარაკოთ. ორივე ვიცე-პრემიერს მოგიწოდებთ, ეკონომიკურ საბჭოსთან ერთად, ეს საკითხი უსწრაფესად გადაწყვიტოთ. შესაძლოა, თხოვნით მივმართოთ აზერბაიჯანის მხარესაც, რომ გაზის გაძვირების პროცესი გადაწიოს და ეს საკითხი გადაავადოს. მიმაჩნია, რომ გარკვეული გზები არსებობს, რათა გაზის ტარიფი არ გაძვირდეს“.**

რაც შეეხება ლარის კურსის ცვლილებას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, აჟიოტაჟი უკვე ჩაცხრა. მისი თქმით, საბაზრო მექანიზმები საკმარისია, რომ ლარის კურსი დასტაბილურდეს. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, 5 თებერვლიდან, 1 აშშ დოლარის შეძენა 1.9977 ლარადაა შესაძლებელი.

„ყაზტრანსგაზთბილისის“ წარმომადგენლებმა აბონენტების გაფრთხილება უკვე დაიწყეს. კომპანია ახალი ფასის შესაბამისად, იურიდიული პირებისგან ხელშეკრულებების გაფორმებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ყაზტრანსგაზთბილისის“ წარმომადგენლები, აბონენტებს ბუნებრივი არის შეწყვეტით ემუქრებიან. „ყაზტრანსგაზთბილისის“ სპეციალური მმართველის, გია ბენაშვილის წერილში, რომელიც აბონენტებს ხელშეკრულებასთან ერთად ეგზავნებათ, მითითებულია, რომ აბონენტებმა ხელშეკრულებას ხელი 7 თებერვლამდე უნდა მოაწერონ: **„გაცნობებთ, რომ 2015 წლის 1 მარტიდან, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ბუნებრივი აირის ტარიფი, ყოველი 1 000 კუბური მეტრი გაზისთვის განსაზღვრულია 900 ლარით, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით“.**

რა უნდა „სოკარს“?

„ყაზტრანსგაზთბილისის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **ეკა სარიამ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კომპანიამ იურიდიული პირებისთვის გაზის ტარიფში ცვლილების შეტანა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „სოკარმა“ კომერციული გაზი გააძვირა: **„კომერციულ გაზს ჩვენი კომპანია „სოკარისგან“ ყიდულობს და, რადგან აზერბაიჯანულმა კომპანიამ გაზის ტარიფი გაგვიძვირა, იძულებულები ვართ, იურიდიული პირებისთვის ბუნებრივი აირის საფასური ჩვენც გავზარდოთ. ეს გაძვირება არ შეეხება პურის ქარხნებს, რომლებიც აქამდეც შეღავათიანი ტარიფით იღებდნენ გაზს “.**

ეკა სარიამ „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ „ყაზტრანსგაზთბილისი“ გაზის ტარიფის გაძვირებას გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 2014 წლის შემოდგომის ბოლოს გეგმავდა, თუმცა კომპანიამ მაშინ ყველაფერი გააკეთა, რათა ტარიფი მოახლოებული ზამთრის პერიოდში არ გაძვირებულიყო. მართალია, იურიდიული პირები განსხვავებულ ტარიფს 2015 წლის 1 მარტიდან გადაიხდიან, მაგრამ ეკა სარია ამბობს, რომ გაზაფხულზე ბუნებრივი აირის მოხმარება საგრძნობლად მცირდება და შესაბამისად, გარკვეული პროდუქციის ფასზე ეს ცვლილება არ უნდა აისახოს.

ეკონომიკის ექსპერტების შეფასებით, კომერციული მომხმარებლებისთვის გაზის ღირებულების განსხვავებული ტარიფები დისკრიმინაციულია. მართალია, პურის ქარხნები ბუნებრივ აირს ისევ შეღავათიანი ტარიფებით მიიღებენ, მაგრამ რა დააშავეს სკოლებმა, საავადმყოფოებმა ან თუნდაც პურის საცხობებმა? მაგალითად, თუკი ფქვილის მწარმოებელს გაზის ტარიფი გაუძვირდება, ლოგიკურად, ის ხომ ფქვილსაც გააძვირებს? ასეთ შემთხვევაში, უკვე აზრს კარგავს „სოკარისა“ და „ყაზტრანსგაზთბილისის“ „კეთილშობილური“ ინიციატივა, რომლითაც პურის ქარხნებს ბუნებრივი აირი არ გაუძვირდება, რადგან, თუ პურის ქარხნის მფლობელი გაძვირებულ ფქვილსა და სხვა ინგრედიენტებს შეიძენს, ცხადია, პურს ისიც გააძვირებს. **„არც სკოლებს, არც საავადმყოფოებს და არცეთ სხვა კომპანიას არაფერი დაუშავებია. მეტიც, ბუნებრივი აირის ტარიფის ზრდა არავის უხარია, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ შეგვიძლია, კომერციული გაზი, რომელსაც „სოკარისგან“ ვყიდულობთ, თვითღირებულებაზე ნაკლებად გავყიდოთ, თუნდაც ჩვენი რესურსების მაქსიმალური სეკვესტრის ხარჯზე. გაზის ტარიფის გაძვირება 2014 წლის შემოდგომის ბოლოს, ან თუნდაც დეკემბერშივე შეგვეძლო, მაგრამ „ყაზტრანსგაზთბილისმა“ მაქსიმალურად შეამცირა საკუთარი ხარჯი და ტარიფი უცვლელად შეინარჩუნა. გაძვირება კი 1 მარტამდე, ანუ გაზაფხულის პერიოდამდე გადავდეთ. თუკი ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში დასტაბილურდება, ბუნებრივია, ტარიფი ისევ შემცირდება“,** — ამბობს ეკა სარია.

„ვერსია“ დაინტერესდა, ხომ არ სარგებლობს აზერბაიჯანული კომპანია მონოპოლიური მდგომარეობით ბაზარზე? დღემდე არავინ იცის, კონკრეტულად რა წერია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლითაც მეზობელი სახელმწიფო გაზს გვაწვდის. თუმცა აქამდე ყველა სპეციალისტი და ექსპერტი აცხადებდა, რომ აზერბაიჯანი საქართველოს გაზს შეღავათიანი ტარიფით აწვდიდა. „სოკარის“ წარმომადგენელს „ვერსიამ“ ისიც ჰკითხა, ხომ არ შეიცვალა ამ ხელშეკრულების პირობები? დავინტერესდით, გააძვირებს თუ არა „სოკარი“ ავტოგაზს“?

თავდაპირველად, „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ გენერალურ დირექტორს, ირაკლი ზუბიტაშვილს დავუკავშირდით, რომელმაც მოგვწერა, რომ ბაქოში იმყოფება და საქართველოში კვირის ბოლოს დაბრუნდება. ამის შემდეგ „ვერსია“ „სოკარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თემურ გაჯიევს დაუკავშირდა, რომელმაც პრესსამსახურის წარმომადგენელთან, ლიკა ბახტაძესთან გადაგვამისამართა. გაჯიევმა განგვიმარტა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გაზის ტარიფთან დაკავშირებით, კომენტარს მხოლოდ ლიკა ბახტაძე გააკეთებდა. მას შემდეგ, რაც „ვერსიამ“ ლიკა ბახტაძეს კითხვები გადაუგზავნა, ამ უკანასკნელმა გვიპასუხა: **„კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გაზის ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით, დამატებით კითხვებს არ ვუპასუხებთ. მხოლოდ იმ განცხადებით შემოიფარგლეთ, რაც „სოკარმა“ უკვე გაავრცელა“.**

ლიკა ბახტაძემ არც ის დაგვიდასტურა, გაძვირდება თუ არა ავტო-გაზი, თუმცა „ვერსიის“ ინფორმაცია, რომ კომპანია ავტომობილებისთვის საჭირო გაზსაც აძვირებს, ოფიციალურად არც უარყო. აქედან გამომდინარე, უკვე აშკარაა, რომ აზრი არ აქვს, „სოკარი“ ან „ყაზტრანსგაზთბილისი“ პურის ქარხნებს ისევ შეღავათიანი ტარიფით მიაწვდის გაზს თუ არა. მას შემდეგ, რაც ავტოგაზი გაძვირდება, ეს პროცესი, ანუ ტრანსპორტირების ხარჯი ავტომატურად აისახება ნებისმიერი პროდუქციის, მათ შორის, პურის თვითღირებულებაზეც! გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სხვა იურიდიული პირები, რომლებმაც საკუთარი პროდუქციის თვითღირებულებაში გაძვირებული გაზის ტარიფის გარდა, გაძვირებული ტრანსპორტირების ხარჯიც უნდა ასახონ.

„სოკარი“, როგორც ბაზრის მონოპოლისტი

სპეციალისტების შეფასებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, გაზის ტარიფის სიძვირის მიხედვით, ბალტიისპირეთის ქვეყნების, მოლდოვას, ტაჯიკეთისა და სომხეთის შემდეგ, საქართველო მეშვიდე ადგილზეა. საქართველოს გაზმომარაგების სისტემაში ერთადერთი მონოპოლისტი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარია“. სპეციალისტების მტკიცებით, რუსეთი, რომელიც უკრაინასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება, გაზს გაცილებით იაფად აწვდის უკრაინას, ვიდრე საქართველოს, მისი მეგობარი აზერბაიჯანი. 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უკრაინაში 0.21 ლარი ღირს, აზერბაიჯანში — 0.21 ლარი, სომხეთში — 0.66 ლარი, საქართველოში — 0.45 ლარი, რუსეთში — 5 რუბლი, ანუ დაახლოებით 0.22 ლარი.

რატომ სარგებლობს აზერბაიჯანული „სოკარი“ ბაზარზე არსებული მონოპოლიური მდგომარეობით? „ვერსიის“ კარგად ინფორმირებული წყაროს ინფორმაციით, საკაშვილის მთავრობამ მოახერხა და სახელმწიფო კომპანია „გაზისა და ნავთობის კორპორაციის“ ფუნქციები, სხვა ქვეყნის სახელმწიფო კომპანიას „სოკარ ექსპორტ-იმპორტს“ გადასცა. აზერბაიჯანული კომპანიის მოვალეობებია: საქართველოში სოციალური სექტორის (მოსახლეობა და თბოსადგურები) ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის უპირობო ვალდებულება; „გაზპრომიდან“ შესყიდული გაზის ფასის კომპენსირება; პიკური წლიური მოხმარების დაბალანსება 100 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის ოდენობით; სეზონური მოხმარებისა და დღიური მოცულობების ბალანსირება (გაზსაცავის ფუნქცია):

„ის, რაც საქართველოს უფასოდ ეკუთვნოდა გაზის სატრანზიტო მომსახურებაში, საკაშვილის მთავრობის წევრებმა თავისი შეხედულებისამებრ შეაფასეს და მოსახლეობას გაზის ტარიფი დაუსაბუთებლად გაუძვირეს. როგორც ჩანს იმიტომ, რომ „გაზისა და ნავთობის სახელმწიფო კორპორაციას“ ამ ფულით ქუთაისში პარლამენტი აეშენებინა, ტრაქტორები ეყიდა და კურდღლების ფერმა დაეფინანსებინა. შაჰდენიზის ხელშეკრულებით, რომელიც 2003 წელს გაფორმდა, საქართველო 500 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს იღებს სპეციალური ტარიფით — 64 აშშ დოლარად. საქართველოს ეკუთვნის თურქეთის მიმართულებით გატარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის 5%, რაც 300 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. როგორც წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, საქართველოს თურქეთისკენ გატარებული გაზის მოცულობიდან, მაქსიმუმ 200-250 კუბურ მეტრზე მეტი არასოდეს მიუღია. სატრანზიტო გადასახადის სახით, საქართველოს რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით გატარებული გაზის 10%-ს იღებს. ეს მოცულობა წლების მიხედვით იცვლება, მაგალითად, 2007 წელს, სომხეთმა მიიღო 2.054 მილიარდი კუბური მეტრი აირი, შესაბამისად, საქართველოს ამ წყაროდან მიღებული ჰქონდა 205 მილიონი, 2008 წელს — 2.254 მილიარდი, საქართველომ კი 225 მილიონი მიიღო, 2009 წელს — სომხეთმა 1.628 მილიარდი კუბური მეტრი აირი მიიღო, ხოლო საქართველომ — 163 მილიონი. საქართველო მთლიანად იმპორტირებული გაზით მარაგდება, რომელიც ძირითადად, რუსეთიდან შემოდიოდა. 1 000 კუბური მეტრი რუსული გაზის საფასური 235 აშშ დოლარი იყო. 2008 წლიდან, საქართველო მთლიანად აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზით მარაგდება“.

„ვერსიის“ წყარო აცხადებს, რომ საქართველოში არც ერთმა სპეციალისტმა და ექსპერტმა არ იცის, რა წერია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. წყაროს ინფორმაციით, გაზის მიწოდების ხელშეკრულებები გასაიდუმლოებული არ ყოფილა მაშინ, როდესაც საქართველო ბუნებრივ აირს „არამეგობრული“ რუსული „იტერასა“ და „გაზპრომისგან“ იღებდა. შესაბამისად, გაურკვეველია, რატომაა ეს ხელშეკრულება ასე გასაიდუმლოებული მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა გაზს „მეგობარი“ აზერბაიჯანისგან, კერძოდ, „სოკარისგან“ იღებს. **„ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ენერგოსექტორის განვითარებასა და მოსახლეობაზე ნეგატიურად აისახა ის იყო, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ენერგეტიკის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო კომპანიებში, მართვის „დახურული“ მოდელი ჩამოყალიბდა. ასეთი მოდელი საბჭოთა კავშირში ომის დროს იყო და დაახლოებით, 1960 წლამდე გრძელდებოდა.**

დასასრული მე-7 გვერდზე

ვერსიანიუსი

საქართველოს ბიზნესასოციაციას ახალი აღმასრულებელი დირექტორი ჰყავს

საქართველოს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელ გუნდს ირაკლი ასლანიშვილი უხელმძღვანელებს. ასოციაციის ინფორმაციით, ირაკლი ასლანიშვილს კერძო სექტორში წარმატებული საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. კერძოდ, ეკავა გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში“, იყო უძრავი ქონების კომპანია „ტიფლის სიტის“ აღმასრულებელი დირექტორი, გახლდათ „ბანკი რესპუბლიკა — სოსიეტე ჟენერალის“ კომერციული დირექტორი.

ირაკლი ასლანიშვილის განცხადებით, „საქართველოს ბიზნესასოციაციას“, პირველ რიგში, წევრი კომპანიები ქმნიან. მისი თქმით, ორგანიზაციის მთავარი მიღწევა ისაა, რომ ქვეყანაში მოქმედი წამყვანი, მსხვილი კომპანიების უმრავლესობა დღეს ასოციაციის წევრია: **„ეს სხვადასხვა მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობის შედეგია. იმისთვის, რომ ჩვენი მთავარი ფუნქცია შევასრულოთ — წევრი კომპანიების საზრუნავი ხელისუფლებამდე მივიტანოთ და გავაუმჯობესოთ ბიზნესგარემო, უნდა ვიცოდეთ, რა საჭიროებები აქვს კერძო სექტორს, უნდა შევიმუშაოთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები, რეკომენდაციები, ეკონომიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი წინადადებები უნდა წარვუდგინოთ ხელისუფლებას. ვიმსჯელოთ მათთან ყველა საკითხზე, რაც მნიშვნელოვანია კერძო სექტორისთვის“.**

ირაკლი ასლანიშვილის განცხადებით, „საქართველოს ბიზნესასოციაცია“ და მისი აღმასრულებელი გუნდი ასოციაციის წევრებთან, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, ბიზნესგაერთიანებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით, განახლებული ძალით განაგრძობს აქტიურ მუშაობას ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობისა და წევრთა ინტერესების დაცვისთვის.

bpn.ge

პატიმარი №0578

ვინც ციხეში არ მჯდარა, არ იცის, რას ნიშნავს იქ გატარებული თითოეული წუთი. ჯერ დღე იწელება უსაშველოდ, მერე ღამე და ყოველდღიური ერთფეროვნება ფსიქოლოგიაზე დამთრგუნველად მოქმედებს. გარდა იმისა, რომ რამე გასართობი უნდა მოიფიქრო, იმაზეც გიწევს ფიქრი, სხვა არ გაერთოს შენით და შარში არ გაეხვიო. რეალურად ხომ იქ ბოროტმოქმედები არიან, კრიმინალები და იშვიათი გამონაკლისის და ციხეში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანების გარდა, თავს როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობენ. შესაბამისად, თუ ვინმეს გარეთ ვადაზე ადრე გასვლის შანსი უჩნდება, მას ებღაუჭება — არცთუ იშვიათად, ადამიანები სახეს კარგავენ და ისეთ პირობებს თანხმდებიან, თავისუფლებაზე თავში აზრად რომ არ მოუვიდოდათ და ელემენტარულად, მორალი არ მისცემდა უფლებას, ეს გაეკეთებინათ...

სანამ სასჯელს მიუსჯიდნენ, პატიმარი №0578, სხვების დარად, გლდანის ციხეში იჯდა. ერთ დღეს ადვოკატთან გამოუძახეს და როცა ოთახში შევიდა, მეორე მაგიდასთან ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. ღიმილით მიესალმა და ჰკითხა: „როდიდან არის, პროკურორებმა პატიმრების ზმანზე დაიწყეთ სიარული? სპორტულებით აქ მოსვლა რა პონტია?!“

„ეჰ, ჩემო ძმაო, პატიმრის ზმანზე იმიტომ ვარ, რომ პატიმარი ვარ და მეც შენსავით ადვოკატს ველოდები“, — ნაღვლიანად უპასუხა პროკურორმა.

„მოიცა, კაცო, შენ ის პროკურორი არ ხარ, რამდენიმე თვის წინ ვაკის რაიონში რომ მუშაობდი? თუ მეშლება? ახლობლები ჩხუბზე დაიჭირეს და იქიდან მახსოვხარ, სიცილ-ხარხარით რომ გამოუშვი სასამართლოდან, ერთმანეთს ნუ დახოცავთ, ისედაც ცოტა ვართ ქართველებიო, ის კაცი არ ხარ თუ მეშლება?!“, — ჰკითხა №0578-მა.

„ის ვარ, ის“, — მწარედ გაეცინა ნაპროკურორალს.

„ქრთამი?!“ — თვალები მოჭუტა პატიმარმა.

„არა, ქურდული სამყაროს წევრობა“, — უპასუხა პროკურორმა.

„იუმორის გრძნობა შეგრჩენია. რა უნდა ამ კაცს აქ, ჩემ პროკურორად ხომ არ დანიშნეს?“ — ახლა ადვოკატს ჰკითხა №0578-მა. იმანაც უპასუხა: „არა, მართლა დაიჭირეს და მართლა ქურდული სამყაროს წევრობაზე“.

„გარეთ სულ გაგიჟდით თუ მე მაგიჟებთ? პროკურორი ქურდული სამყაროს წევრობაზე როგორ დაგიჭირეს, ნუ გადამრიეთ“, — გაოცდა №0578.

„როგორ და ლაშა შუშანაშვილს ველაპარაკე ტელეფონით. ამათაც მეტი რა უნდოდათ, ეგრევე ეგ შემომტენეს“, — ერთ წინადადებაში დაამთავრა ბრალდების მოყოლა პროკურორმა.

„და შუშანაშვილთან რა გინდოდა?“ — ჰკითხა №0578-მა.

„სკოლა ერთად დავამთავრეთ, მეჯვარე იყო ჩემი, შვილის ნათლიაა, მერე გახდა ქურდი და რა ვქნა, მაგის გამო კაცთან კავშირი გავწყვიტო? ცუდად მყავდა შვილი, საავადმყოფოში მეწვინა, დარეკა მოიკითხა. ვუთხარი, რა და როგორც იყო და დავემშვიდობე. მეორე დღეს დამიჭირეს და ბრალად ეგ წამიყენეს. არადა, მთელმა პროკურატურამ იცოდა, შვილი ცუდად რომ მყავდა და ისიც იცოდნენ, ვინ იყო ჩემი შვილის ნათლია, მაგრამ არაფერმა მიშველა“, — განმარტა პროკურორმა.

„შენი შვილი პატარა არ უნდა იყოს...“ — აღარ დაამთავრა №0578-მა.

„არა, რა პატარა, ცოლ-შვილი ჰყავს, გამომძიებელია. ბრმანაწლავი გაუსკდა. სისხლის მოწამვლას გადავრჩით და ნათლიამ მოიკითხა. სულ ეგ იყო“, — თავი გადაიქნია პროკურორმა.

„შვილიც დაიჭირეს?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„არა, მაგასთან არ დაურეკავს და გადარჩა“, — გაეღიმა პროკურორს.

პროკურორების „გაფუჭების“ სკანდალური სქემა

პროფესიონალ ბრალმდებელს „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირი ვერ დაუმტკიცეს და ქრთამის აღება „შეტენეს“

„რას აპირებ?!“ — არ მოეშვა №0578.

„რა უნდა დავაპირო? შევეცდები დავამტკიცო, რომ ჩემი სტაჟის და გამოცდილების კაცი შეუძლებელია ქურდული სამყაროს წევრი იყოს. შვილის ნათლიასთან და მეჯვარესთან კავშირს კი არცერთი კანონი კრძალავს“, — დაასრულა მონოლოგი პროკურორმა.

ორიოდე თვის შემდეგ პროკურორი და პატიმარი №0578 ერთმანეთს სასამართლოზე შეხვდნენ.

„რა ქენი, კრიმინალო? დაამტკიცე შენი სიმართლე?!“ — გაეღიმა №0578-ს.

„სიმართლე? სად არის სიმართლე და სამართალი? სადამდე მიდის ადამიანი, ხედავ? ახალი ბრალი წამიყენეს, ვიღაც პატიმარი მიჩივის, აქაოდა, ხუთი წლის წინ ფული გამომართვაო. გესმის? აქ მომკრა თვალი და აყვირდა. ეს ბრალდება გაქარწყლებული იყო თითქმის, გაშვებას ველოდი და ახალი საქმე წამოიწყეს. დასაბმელი ვარ. იმ ჩემი ცოდვით სავსეს თურმე 25 წელი აქვს მისჯილი და ამბობს, თუ პროკურორს ჩავასმევინებ, 15 წელს მიკლებენო. თავისი 15 წლის გულისთვის, მე მიშვებს სროკზე. ანგელოზი არავინ არის და ფული მეც ამიღია, მაგრამ შვილებს, შვილიშვილებს გეფიცები, მაგისგან ერთი თეთრი თუ მქონდეს აღებული. მტენის, როგორმე თავს რომ უშველოს, მე მწირავს“, — ლამის ტიროდა პროკურორი.

„რას აპირებ?“ — ჩაეკითხა პატიმარი №0578. პროკურორმა კი, ლამის ყვირილით მიუგო: „რა უნდა დავაპირო? ვეცდები, სიმართლე დავამტკიცო, მაგრამ ვის უნდა ჩემი სიმართლე. ამათ რეზონანსული საქმე სჭირდებათ, გესმის? ჰოდა, დამითრიეს რა. ახლა მეუბნებიან, ვინმეს თუ დაგვაჭერინებ, გაგიშვებთო. ამ ჯოჯოხეთისთვის ვინ გავიმეტო? დასაჭერების მეტი რა არის, მაგრამ იმათ ცოლ-შვილს რა ვუთხრა?“

ყვირილზე ბადრაგმა მოირბინა და პატიმრები ერთმანეთს დააშორა. ერთი ეგ იყო, პროკურორს მოწიწებით სთხოვეს, აქეთ წამობრძანდითო, №0578-ს კი ხელები უხეშად ამოუგრიხეს და ფუქსებისკენ წაათრიეს.

რამდენიმე თვის შემდეგ №0578 რუსთავის ზონაზე გადაიყვანეს. ბევრს ეცადა, მაგრამ პროკურორის ბედი ვერ გაიგო, თუმცა ზონაზე აუხსნეს, გასროკეს ეგ კაცი და ის, ვინც პირზე ადგებოდა, ჩვენთან იხდიდა სასჯელსო.

„და მართლა მაყუთი გაუმაზა?!“ — ჰკითხა №0578-მა პატიმრებს.

„არა, რა მაყუთი, ტელევიზორში ნახა, მთელი ღამე იძახა, ჩემი პროკურორი იყო ეგ ბოზი წლების წინო. მერე დილით თქვა, ისე, მაგის წინააღმდეგ რამე ჩვენება რომ მივცე, ეგებ გამიშვან. განწირულია ეგ კაცი, ისე არ დაიჭერდნენო. მერე ვიღაცამ უთხრა, რა ჩვენება უნდა მისცე, ერთადერთი მაყუთის თემას თუ შეტენი, ვითომ გადაუხადეო. ამას იდეა არ მოეწონა, სროკი მომცეს და მაყუთის მიცემას როგორ დავამტკიცებო და ეგეც ურჩიეს — თქვი, დიდ სროკს მაძლევდა და პატარა მომცაო. ამასაც ჭკუაში დაუჯდა, მერე ციხის ნაჩალნიკს დაელაპარაკა და შეიკერა საქმე. სხვა ზონაზე გადაიყვანეს, იმ პროკურორის ახლობელი ზის აქ და იმან მაგრად სცემა“, — უპასუხეს პატიმრებმა.

„და ასე ხშირად ხდება?!“ — გაოცდა №0578.

„პროკურორებზე რა გითხრათ, პირველი შემთხვევაა, ერთმანეთის ჩაშვება კი იცოცხლე. დაგიჯდება პატიმარი წინ, ენა ტკბილად მოუბარი, გამოგტყუებს რაიმე საქმეს, რომელიც გახსნილი არ არის, მერე იტყვის სადაც საჭიროა, პოლიცია საქმეს ხსნის და პიარს იკეთებს, ამ პატიმარს კი მინიმუმ სასჯელის განახევრება ზედ აქვს“, — აუხსნეს პატიმრებმა.

„და იმ სხვას სროკი რომ ემატება, ეგ არაფერი?!“ — ისევ გაოცდა №0578.

„როგორ არაფერი, მაგრამ კიდიათ. სხვა ზონაზე წავა, ბოლობოლო, ადინოჩკას მოითხოვს და რამდენიმე წელი რომ მოიკლოს, რაში ანაღვლებს, ვინ გაისროკება. ამიტომ აქ ენას კბილი უნდა დააჭირო, ისე არაფერი გამოვა“, — გაანათლეს ახალმოსული.

„კი, მაგრამ ენაზე კბილი იმ პროკურორსაც ჰქონდა დაჭერილი, მაგრამ უშველა? ვიღაცამ საკუთარი საქმე რომ მოახსენოს პოლიციას და სხვას რომ შეტენოს, ვითომ იმან გააკეთა? მაგ დროს რა ხდება? პოლიცია საქმეს ხსნის, იმ საქმის გამკეთებელს გარეთ უშვებს და ვიღაც უდანაშაულოს სროკს უმატებს?!“ — იკითხა №0578-მა.

„დაახლოებით ეგრეა. დეტალებს ნუ გამოეკიდები, თორემ შეიძლება გარეკო“, — გაეცინათ პატიმრებს.

„რაღა უნდა გავრეკო, რასაც ახლა ვისმენ...“ — თქვა №0578-მა და საკანში ავიდა.

პროკურორის ჩამშვები პატიმარი რუსთავის ზონაზე დაახლოებით ერთ თვეში დააბრუნეს. №0578-მა მაშინვე დაიმარტოხელა და მკაცრად ჰკითხა — „იმ პროკურორს რას ერჩოდი, შენი გულისთვის სროკზე რომ არის?!“

„ძაღლების დედაც... ვის იცავ და რა უფლებით და საერთოდ ვინ ხარ?!“ — შეეწინააღმდეგა ჩამშვები.

„ძაღლები კი არა, ადამიანებზე გელაპარაკები. იმ კაცს გარეთ ცოლ-შვილი ჰყავს, მშობლები, საძმაკაცო. მაგაზე გიფიქრია, ტყუილს რომ აბრალებ?!“ — ცივად ჰკითხა პატიმარმა.

„და იმაზე თუ გიფიქრია, ამხელა სროკმა რომ შეიძლება დამბრიდოს?!“ — არ შეეპუა ჩამშვები, თუმცა სახეში ხელი მოხვდა და აღრიალდა — „ნახეთ, ხელს კამერების წინ მირტყამს, ნაბოზვარია ეს კაცი“...

ხუთ წუთში ორივე მაყურებლების კამერაში იყო.

„პოლიციელს იცავ?!“ — ცივად ჰკითხა მაყურებელმა.

„ამასაც ვუთხარი, ჩემთვის განსხვავება არ აქვს, ვინ ბოზობს. ეს კი ახლა აშკარად ბოზობს. რით ვჯობივართ მაშინ ჩვენ... შენ, მე... დანარჩენები... იმ ხალხს, ვინც ცრუ ჩვენებას იძლევა და ვისზეც ვამბობთ, ნასედკა და ძაღლების ბოზიაო? ეს ამიხსენით და გამაგებინეთ“, — იკითხა №0578-მა.

„მე კი ის ამიხსენით, კამერების წინ ხელის დარტყმა არის თუ არა ნაბოზვრობა“, — ღვარძლიანად თქვა ჩამშვებმა.

„მომისმინე. ყველა საკუთარ საქციელზე აგებს პასუხს. იმათ ჩვენი დაცვა არ სჭირდება, ისედაც მოახერხებენ როგორმე. რაც შეეხება ხელის დარტყმას, ახსნა მოგიწევს“, — მშვიდად თქვა მაყურებელმა.

„ავხსნი. თავხედურად მპასუხობდა, ეს ერთი. კამერაში ავიდეთ-მეთქი და უარი თქვა, ეს ორი. კამერასთან არ ვიდექით, მაგრამ თავად გადაიწია და დადგა, ანუ იცოდა, შეიძლებოდა მოხვედროდა და უნდოდა, კამერას დაეფიქსირებინა და ამის გამო კარცერში წამიყვანენ, ანუ გამიჩალიჩა, ეს სამი და ამან თუ არ ახსნა ახლა, ნაბოზვარიაო, რომ თქვა ჩემზე, სისხლს ვაფურთხებინებ. ესეც ოთხი“, — დაასრულა №0578-მა.

მაყურებლებმა ჩამშვებს შეხედეს და ჰკითხეს, კამერაში რატომ არ აყევიო, რაზეც იმან ვერაფერი უპასუხა, ვერც №0578-ის ნაბოზვრობა ახსნა და...

„რა უქენი ასეთი, სახე რომ აღარ უჩანს?!“ — მეორე დღეს ლაშა ბრეგვაძე №0578-ს თავის კაბინეტში ესაუბრებოდა.

„არაფერი. ტყუილად ამბობს, №0578-მა მცემაო. ეგ საკუთარმა თავმა სცემა და ეს შენც იცი. ახლა ან კარცერში გამიშვი, ან ზონაზე დამაბრუნე, დაღლილი ვარ“, — ნაღვლიანი ხმით უთხრა პატიმარმა.

ლაშამ ოფიცრებს დაუძახა, თვალით ანიშნა, ზონაზე დააბრუნეთო და სანამ პატიმარი №0578 კაბინეტიდან გავიდოდა, მიაძახა: „გუშინ პრობლემები გვქონდა და გამორთული იყო ის კამერა, ეს რომ მიმტკიცებდა, ნახე, სახალხოდ დამარტყა ხელიო. იცოდე, სხვა დროს ჩართული იქნება“...

ავტოგაზი და პროდუქტი ძვირდება?

მე-6 გვერდიდან

საბჭოთა ენერგეტიკის სამინისტროს, რომელშიც საქართველოც შედიოდა, ცნობილი მინისტრი ნეპაროჟნი ხელმძღვანელობდა და ენერგეტიკა მთლიანად უშიშროების სამინისტროს ექვემდებარებოდა. ენერგეტიკის სამინისტრო გასამხედროებული უწყება იყო, თანამშრომლები სამხედრო წოდებასა და ფორმებს ატარებდნენ. მადლობა ღმერთს, წინა ხელისუფლების პირობებში, ენერგეტიკოსებს სამხედრო ფორმები აღარ ეცვათ, მაგრამ დარგში სპეციალისტებზე მეტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული კადრები იყვნენ. ყველამ იცოდა, რომ ენერგოსისტემას მთლიანად ვანო მერაბიშვილი აკონტროლებდა, რადგან სისტემიდან არავითარი ინფორმაცია არ უნდა გასულიყო!“, — აცხადებს „ვერსიის“ წყარო.

რეალობა ასეთია, თბილისის გარდა, საქართველოს რეგიონებს ბუნებრივი აირით აზერბაიჯანული „სოკარი“ ამარაგებს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, საერთაშორისო კომპანია „იტერა“ შეიძინა. მართალია, „იტერა“ ტრანსნაციონალური კომპანიაა, მაგრამ სინამდვილეში, რუსული „გაზპრომის“ ერთ-ერთ შვილობილ კომპანიად ითვლება. თბილისელებს, ანუ შედარებით მცირე ნაწილს, გაზის „ყაზტრანსგაზთბილისი“ ამარაგებს. აშკარაა, რომ აზერბაიჯანული „სოკარი“ საქართველოში ბაზრის მონოპოლისტია.

ერთ-ერთი ვერსიით, იურიდიული პირებისთვის ბუნებრივი აირის გაძვირების მიზეზი „მაესტროს“ მფლობელის, ბიზნესმენ კოტე გოგელიას ენერგოინტერესებს უკავშირდება. „ვერსიაში“ ვწერდით, რომ შესაძლოა, გაზის განაწილების სქემაში კოტე გოგელიას რომელიმე კომპანია ჩამჯდარიყო, რომელიც „ფეესბეს“ დავალებით, რუსულ გაზს „ყაზტრანსგაზთბილისს“ მიაწვდიდა. თუმცა გაზის ტრანზიტის სქემაში კარგად გათვითცნობიერებული და კომპეტენტური ექსპერტების მოსაზრებით, ამგვარი ვერსია გამორიცხულია. პირველი — რუსული „გაზპრომი“ გაზის ექსპორტს შვილობილი კომპანია „გაზექსპორტის“ საშუალებით ახორციელებს და სხვა, თუნდაც სახელდახელოდ შექმნილ კომპანიას გაზის განაწილების სქემაში არ ჩასვამს; მეორე — ერთადერთი კომპანია, რომელსაც ბუნებრივი აირი საქართველოს საზღვრებამდე მოაქვს, აზერბაიჯანული „სოკარია“, რომელიც არ დაუშვებს, რომ ამგვარი ფუნქცია სხვა კომპანიამ შეითავსოს; მესამე — „ფეესბეს“ დავალებით კოტე გოგელია გაზის ტრანზიტის სქემაში იმიტომ უნდა ჩამჯდარიყო, რომ საქართველოში რუსული ინტერესები გაეტარებინა. თუმცა საკუთარი ინტერესების გასატარებლად, რუსეთის სპეცსამსახურს დამატებითი კომპანია არ სჭირდება, რადგან თბილისის გულში, „თელასის“ მფლობელი „ინტერრაო“ ჰყავს; მეოთხე — ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გაზის ტარიფის გაძვირებას კოტე გოგელიას შესაძლო ენერგოინტერესები იმიტომაც არ უკავშირდება, რომ იურიდიული პირებისთვის კომერციული გაზი აზერბაიჯანულმა „სოკარმა“ გაძვირა და რუსული „გაზპრომი“ აქ არაფერ შუაშია.

პური არა, მაგრამ ხაჭაპური გაძვირდება!

პურ-პუნთუშეულის მწარმოებელი კომპანია „იფქლის“ დისტრიბუციის სამსახურის უფროსმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ პური არ გაძვირდება. მისი თქმით, „იფქლი“ აქამდეც შეღავათიანი ტარიფით იღებდა გაზს და „ყაზტრანსგაზთბილისის“ სპეციალური მმართველის, გია ბენაშვილის ოფიციალური წერილი კომპანიას არ მიუღია. შესაბამისად, 2015 წლის 1 მარტიდან, „იფქლს“ გაზის ტარიფი არ გაუძვირდება. „ვერსიის“ კითხვაზე, თუკი ავტო-გაზი“ გაძვირდება, მოუმატებს თუ არა პურის ფასს კომპანია „იფქლი“, დისტრიბუციის სამსახურის უფროსმა გვიპასუხა, რომ მათი კუთვნილი ავტომობილები მხოლოდ ბენზინის საწვავზე მუშაობენ.

შპს „ლაზური საცხობი“ სხვადასხვა სახის ხაჭაპურს აცხობს. კომპანიის მენეჯერმა, მაია შავგულიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ „ყაზტრანსგაზთბილისის“ სპეციალური მმართველის წერილი და ახალი ხელშეკრულება უკვე მიიღეს. „ლაზური საცხობი“ ბუნებრივ აირს შეღავათების გარეშე იღებს და რა თქმა უნდა, 1 მარტიდან გაზი გაუძვირდებათ. თუმცა მაია შავგულიძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ლარის კურსის ცვლილების გამო, ფქვილი, შაქარი და კვერცხი უკვე გაძვირდა, ამიტომ „ლაზური საცხობი“ იძულებულია, საკუთარი პროდუქციაც გააძვიროს.



ჟანა გვანცელაძე: „მოვითხოვ, გამოიძიონ მკვლელობა, მცნონ დაზარალებულად და ჩემი შვილის გვამს ხელახალი ექსპერტიზა ჩაუტარონ“

საქმე რომელსაც 7 წელია ბრალდებული არ ჰყავს

ნინო ლურსმანაშვილი, 593-51-52-04

ცნობილი ოფთალმოლოგის, ზურაბ გვანცელაძისა და ექიმ დომნა კილაძის მკვლელობიდან 7 წელი გავიდა. 7 წლისთავზე საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელია. მეტიც, არ არსებობს ბრალდებული, მკვლელობის დღეს ეჭვმიტანილის სტატუსით დაპატიმრებული პირი კი დაზარალებულადაა ცნობილი.
ექიმების გახმაურებული მკვლელობა 2008 წლის 6 თებერვალს მოხდა. თვალის ექიმ ზურაბ გვანცელაძისა და ექიმ დომნა კილაძის გვამები კოლეგამ დილით, აღმაშენებლის გამზირის №10-ში, ზურაბ გვანცელაძის ოფთალმოლოგიურ კლინიკა „ნასოში“ იპოვა. მოკლულ ზურაბ გვანცელაძის დედა, ექიმი და ყოფილი პროკურორი ჟანა გვანცელაძე, რომელმაც დამოუკიდებელი გამოძიება ჩაატარა, მიიჩნევს, რომ მკვლელი დომნა კილაძის ქმარი ზაზა გუბელაძეა, რომელმაც მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა. შვილის გარდაცვალებიდან 7 წლისთავზე, ჟანა გვანცელაძე აცხადებს, რომ საქმეში ახალი გარემოებები აღმოაჩინა, რომელსაც შესაბამისი უწყებები ყურადღებას ერთი მიზეზით არ აქცევენ — გამოძიება ადეიშვილამდე, კეზერაშვილამდე და ნაციონალების სხვა „ფეისებამდე“ მივა. ახალი გარემოებების შესახებ „ვერსიას“ ჟანა გვანცელაძე თავად უამბობს.

— ქალბატონო ჟანა, თქვენი შვილისა და მისი კოლეგის მკვლელობიდან 7 წელი გავიდა. ამბობთ, რომ საქმეში ახალი გარემოებები აღმოაჩინეთ. სავარაუდო მკვლელი, თქვენი აზრით, დომნა კილაძის მეუღლე, ზაზა გუბელაძეა?

— დიახ, დღესაც ასეთი ეჭვი მაქვს და მეტიც, დარწმუნებული ვარ, ეს საქმე სწორედ იმიტომ არ გაიხსნა აქამდე, რომ კეზერაშვილის მეგობარი გუბელაძე და ნაციონალური ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებმაც გუბელაძე მაშინ გადაარჩინეს, გისოსებსმიღმა არ აღმოჩნდნენ. ზაზა გუბელაძე, ბაჩო ახალაიას მინისტრობის პერიოდში, თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის სამმართველოს უფროსი გახლდათ. 2006 წელს, ჯანდაცვის მინისტრმა ჭიპაშვილმა, ექიმები ზაზა გუბელაძე და მისი მეუღლე დომნა კილაძე ქუთაისიდან ჩამოიყვანა. გუბელაძეს სამინისტროში დააწყებინა მუშაობა, დომნა კი, ჯავრიშვილის კლინიკაში მიავლინა, სადაც ჩემი შვილი მთავარი ექიმი იყო. მაშინ ზურას ოჯახი ჰყავდა. დომნა მასზე 10 წლით უფროსი იყო, მაგრამ მათი ურთიერთობა გრძნობაში გადაიზარდა. ზურა ცოლს გაშორდა. დომნას ქმარმა კი მათი ურთიერთობის შესახებ შეიტყო და ხშირად ემუქრებოდა ცოლს. სწორედ ამიტომ მაქვს ეჭვი, რომ მკვლელი გუბელაძეა, რომელსაც კეზერაშვილთან მეგობრობის გამო, ზურაბ ადეიშვილი, ლადო ჭიპაშვილი და ნაციონალური მოძრაობის სხვა ცნობადი სახეები მფარველობდნენ. მათი მითითებით, პროკურორები, ექსპერტები, გამომძიებლები... ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საქმე არ გახსნილიყო და გუბელაძე გადაერჩინათ. ამას ბევრი ფაქტი მოწმობს: ზურას გარდაცვალების შესახებ, 2008 წლის 6 თებერვალს შევიტყვე. შვილი ექსპერტიზაჩატარებული მომისვენეს, გამომძიებელი ფაფიაშვილი კი ჩემთან სასაუბროდ, მხოლოდ მკვლელობიდან მე-12 დღეს მოვიდა. ექსპერტიზა დაინიშნა, მაგრამ ოფისს ლუქი არ დაადეს, რაც გვინდოდა, გამოვიტანეთ და ლუქი რა საჭირო იყოო. კლინიკასთან მდებარე სალონიდან ვიდეოჩანაწერი მე ამოვიღე. მასში ჩანს, რომ მკვლელობის დროს, გუბელაძის მანქანა კლინიკასთან იდგა. სამხილების მოძიება და საქმის დამოუკიდებლად გამოძიება მას შემდეგ დავიწყე, რაც გაავრცელეს ვერსია, თითქოს ზურამ ჯერ დომნა მოკლა და მერე თავი მოიკლა. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. ეჭვმიტანილის სტატუსით აყვანილი გუბელაძე შინ რამდენიმე საათში გამოუშვეს, 5 თვეში კი დაზარალებულად სცნეს. ეს ნაციონალების აპრობირებული მეთოდი ყოფილა — როცა საქმიდან დამნაშავის „დაძვრენა“ სურდათ, მას დაზარალებულად სცნობდნენ. მოკლედ, ადეიშვილმა, კეზერაშვილმა და სხვა ნაციონალებმა, ყველაფერი გააკეთეს გუბელაძის გადასარჩენად. არადა, საქმეში, არაერთი გარემოებაა, რომელიც მის ბრალეულობას დაადგენდა და როგორც მოგახსენეთ, ახალი გარემოებებიც აღმოვაჩინე.

— რა ახალი გარემოებები გამოიკვეთა საქმეში?

— წლების განმავლობაში საქმე დეტალურად შევისწავლე. ვცდილობდი, დოკუმენტებთან მუშაობისას, არ მეფიქრა იმაზე, რომ წინ შვილის მკვლელობის საქმე მედო და როგორც ყოფილ პროკურორს, ისე მემოქმედა. მიუხედავად ამისა, დიდი ხანი ვერ შევძელი სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის დეტალური დამუშავება — ძალიან მიმძიმდა იმის წაკითხვა, ერთადერთი შვილის გვამი და ორგანოები რა მდგომარეობაში იყო. არც ისე დიდი ხნის წინ, ძალა მოვიკრიბე, თავი ვაიძულე, ექსპერტიზის დასკვნასაც დეტალურად გავცნობოდი და აღმოვაჩინე: 2008 წლის თებერვალში შედგენილია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სადაც ვკითხულობთ, რომ დათვალიერება წარმოებდა 12:00-დან 15:30 საათამდე. ოქმში წერია, რომ დამჯდარ მდგომარეობაში, კედელზე მიყრდნობილად ასვენია კილაძის გვამი, მას თავი გადაგდებული აქვს მარჯვენა მხარეს. ქალის გვამი არის გაშეშებული იმავე პოზით, როგორც ზის. კილაძის გვერდით, იმავე საწოლზე, იატაკზე, მუხლებით თავჩახრილ მდგომარეობაში, თავით და სახით ზედაპირზე, ასვენია გვანცელაძის გვამი. გვამი გადმოაბრუნეს ძალის გამოყენებით, რადგან გაშეშებულია. მას გულ-მკერდში აქვს ჩარტყმული დიდი ზომის ავტომატის დანა, რაც თითქმის უჭირავს ხელში. ორივე ხელის გულები მაღლა აქვს გვერდთან მიბჯენილი (რომელ გვერდთან და სად, არ ვიცი. ისიც გაუგებარია, თუ ხელები მაღლა აქვს, დანა როგორ უჭირავს?). გვამის გამოკვლევის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 2008 წლის 6 თებერვალს სასამართლო სამედიცინო ექსპერტმა მიტიჩაშვილმა 15:00-დან 17:30 საათამდე პერიოდში გამოიკვლია გვანცელაძის გვამი. მისი დასკვნით, გაშეშებულია სხეულის კუნთი, რაც ეჭვს ბადებს.

— რატომ არ ენდობით ექსპერტის ჩანაწერს, რომ გვანცელაძის გვამის ყველა კუნთი გაშეშებულია?

— გვამური გაშეშების მუხტის შემთხვევაში, გვამური გაშეშება თავიდან არ ვითარდება. ზოგადად, როცა მკვლელობის დროს გვამის ტრანსპორტირება ხდება, მას პოზას არ უცვლიან. დანაჩარტყმულს, დანას არ ამოაცლიან — გვამს რომ შეეხო, რბილდება, გაშეშება იხსნება. ამ შემთხვევაში კი, დანა მაშინვე ამოაცალეს და დღემდე გაურკვეველია, ვინ გააკეთა ეს. გვამს თუ პოზას შეუცვლი, სიკვდილის დროის დადგენა გამორიცხულია. ექსპერტმა კი, გაშლილ გვამზე დაადგინა დრო! გაშეშება როგორ იქნებოდა გამოხატული ყველა კუნთში, როცა შემთხვევის ადგილზევე გაასწორეს გვამები და ისე გადაიტანეს პროზექტურაში.

— დარწმუნებული ხართ, რომ ასე იყო?

— დიახ. ამას ვერც უარყოფენ, რადგან ვიდეოჩანაწერში ირკვევა — გვამები, ორივე გასწორებული წევს საკაცეზე. გარდა ამისა, მიტიჩაშვილი დასკვნაში წერს, რომ ხელის დაჭერით გვამური ლაქები ფერმკრთალდება და 12 წუთში აღიდგენს პირვანდელ ფერს. ექსპერტმა ამის მიხედვით დაადგინა სიკვდილის დრო — არანაკლებ 18 საათი. პრაქტიკაში კი, როცა გვამური ლაქა ფერს აღიდგენს 4-10 წუთში, სიკვდილის დროდ განისაზღვრება 16-24 საათი, ხოლო თუ ლაქები 15-25 წუთში აღდგება, ასეთ — 24-48 საათი. ანუ, სიკვდილის დროც არაა დადგენილი. გარდა ამისა, ექსპერტს არ ჰქონია ინფორმაცია, როგორი ტემპერატურა იყო გვამების აღმოჩენის ადგილზე, არ აქვს აღწერილი გვამური ლაქები სხეულის ქვედა კიდურებში — ადამიანი იყო ჩაკეცილი. ამ დროს სისხლი იცლება და ქვედა კიდურებში გადადის და მჯდომარე გვამის ქვედა კიდურებზე აუცილებლად წარმოიშობა გვამური ლაქები. სიკვდილის მიზეზი არის მწვავე სისხლნაკლულობა, განვითარებული გულმკერდის არეში მიღებული ჭრილობით. როცა მწვავე სისხლდენაა, გვამური ლაქები მოგვიანებით ჩნდება. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ამოვიკითხე და ახალ გარემოებად მივიჩნიე, არის გვამების გაკვეთის დრო: მიტიჩაშვილი ექსპერტიზას, 15:00 საათზე იწყებს, რასაც ვერ გააკეთებდა, რადგან გვამი ამ დროს შემთხვევის ადგილზე იყო — შემთხვევის ადგილის დათვალიერება გამომძიებლებმა 15:30 საათზე დაასრულეს.

— და იქნებ გვამები პროზექტურაში შემთხვევის ადგილის დათვალიერების დასრულებამდე გადაიტანეს?

— გამორიცხულია! როცა გვამს აგზავნიან, დადგენილებას წერენ. გარდა ამისა, მიტიჩაშვილმა, დომნა კილაძის გვამიც ანალოგიურ დროს გაკვეთა ანუ ერთი ექსპერტი, ორ გვამს ერთდროულად კვეთს და ორ ოქმსაც ზუსტად ერთი და იგივე დროს წერს. ეს არარეალურია! დასკვნაში სხვა ხარვეზებიც აღმოვაჩინე — არაა გათვალისწინებული გვამების პოზა, გვამები სრულად არაა აღწერილი. დასკვნაში ასევე წერია, რომ ორივეს კუჭში აღმოჩენილია კვერცხი და პური. მაგიდაზე დევს ტაფაზე შემწვარი კვერცხი და პური. ცხიმიანი საკვები ნაწლავებში მძიმედ გადადის. არავის შეუმოწმებია, დომნა კილაძემ „ნასოში“ მისვლამდე, რამე მიირთვა თუ არა. არავინ დასვა კითხვა, როგორ აღმოჩნდა, ორი გვამის კუჭში, მოუნელებელი კვერცხი და პური ერთსა და იმავე დროს. გამოძიება ვალდებული იყო, შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში ჩაება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, ექიმი სპეციალისტი. ამის ნაცვლად კი სამი კინოლოგი-ექსპერტი მოიწვიეს ძაღლთან ერთად. დათვალიერების ოქმში არ ჩანს, რა მიზნით იყვნენ ისინი მიწვეულნი და რა მოქმედებები ჩაატარეს. მათი ჩართვა გამოძიებაში, მართლაც აუცილებელი იყო, რათა შემთხვევის ადგილას, მკვლელობის დროს, ზაზა გუბელაძის ყოფნა დადგენილიყო. გუბელაძის იქ ყოფნას მოკლულების ტანსაცმელზე მისი სამხედრო უნიფორმის ნაწილაკებიც ადასტურებს, თუმცა მას დამცველად მოევლინა საგამოძიებო სამმართველოს მაშინდელი უფროსი კოკაია. კოკაიამ მომწერა, გუბელაძე დილით მივიდა შემთხვევის ადგილზე, შევიდა ოთახში, სადაც ესვენა გარდაცვლილები, შეეხო კილაძისა და გვანცელაძის გვამებს და ბოჭკოვანი ნაწილაკები ტანსაცმელზე ასე აღმოჩნდა, „ამრიგად, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, გუბელაძის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისა“. არსებობს ჩანაწერი, სადაც გუბელაძის მანქანა ფიქსირდება კლინიკასთან, გუბელაძის უნიფორმის ბოჭკოვანი ნაწილაკები არის დახოცილების ტანსაცმელზე და რატომ იცავენ მას ასე თავგამოდებით? რატომ უჯერებენ დღემდე გუბელაძეს ყველაფერს და მე არა? ამ კითხვებს ბავშვიც კი უპასუხებს — იმიტომ, რომ ამ საქმის გამოძიება არავის აწყობს! იმიტომ, რომ ამ საქმის გახსნით, გამოძიება იმ ბობოლა ნაციონალებამდე მივა, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ... სხვათა შორის, თავიდან, ზურას მამის ცოლმა მითხრა, პირდაპირ კორპუსში ოჯახს ვიცნობ, რომლებიც მოწმედ დაგიდგებაო. შუაღამისას, მანქანის ხმამ შეაწუხა ქალბატონი, რომელმაც ფანჯარაში გადაიხედა და დაინახა, მანქანა, როგორ მოწყდა კლინიკის მიმდებარე ტერიტორიიდან. მოგვიანებით, მითხრეს, ეს ოჯახი არ დაადასტურებს ამასო. ერთი შვილი ჰყავდა იმ ქალს და ცხადია, შეეშინდა. ეს ინფორმაციაც მივაწოდე შესაბამის უწყებებს, მაგრამ... არავის აწყობდა არც მოწმის პოვნა და არც იმ ფირის ამოღება, რომელიც დიდი წვალებით მოვიპოვე.

— ამ ფონზე, თუ გაქვთ იმედი, რომ საქმეს ხელისუფლება გახსნის და ამ ახალი გარემოებების შესახებ თუ აუწყეთ შესაბამის სტრუქტურებს?

— რა თქმა უნდა... ჩემი მთავარი საზრუნავი და საფიქრალი ხომ მხოლოდ ესაა — ჯანმრთელობის პრობლემები მაქვს, ზოგჯერ ფეხზე დადგომა მიჭირს, ყველანაირად განადგურებული ვარ, მაგრამ სული ალბათ მხოლოდ იმიტომ მიდგას, ჩემი შვილის სულის წინაშე მართალი ვიყო და მე, ყოფილმა პროკურორმა, ყველაფერი გავაკეთო, რათა მკვლელი არხეინად არ დადიოდეს ქუჩაში, თანაც დაზარალებულის სტატუსით! ხელისუფლების ცვლილების შემდეგ არაერთი წერილი გავგზავნე შესაბამის უწყებებში, მივმართე იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, ამერიკის ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს... წერილი გავგზავნე კანცელარიაშიც, საიდანაც, სხვათა შორის, დამირეკეს და მითხრეს, რომ ერთ კვირაში გადაამოწმებენ, რა გაკეთდა ამ საქმის გასახსნელად. რა თქმა უნდა, არაერთი წერილი გავგზავნე პროკურატურაში და მთავარ პროკურორთანაც არაერთხელ ვითხოვე შეხვედრა. ჯერ კბილაშვილის ნახვას ვცდილობდი, დღეც დამითქვეს, როცა უნდა მივსულიყავი. 9 თვე მოთმინებით ველოდი ამ დღეს, მაგრამ იმ დღეს კბილაშვილი საქართველოში არ იყო, ჩამოსვლის შემდეგ კი თანამდებობა დატოვა. გადამამისამართეს ქალაქის პროკურატურაში, კოჭლამაზაშვილთან. მას ვესაუბრე. მოვახერხე, გამომძიებლისა და პროკურორის შეცვლა. ზოგადად, ამ საქმემ არაერთი პროკურორი გამოიცვალა. შეხვედრას ვთხოვდი ფარცხალაძესთან, მაგრამ მანაც მალე დატოვა თანამდებობა. ახლა ბადაშვილის სახელზე ვწერ წერილებს. მინდა, მიმიღოს, რათა გავაცნო ახალი გარემოებები და ჩემი მოთხოვნებიც მოვახსენო, მაგრამ...

— თქვენი მოთხოვნა რა არის?

— დაიძრას საქმე და გამოიძიონ ობიექტურად. ბევრი გარემოება არსებობს, რომელთა საშუალებით, საქმე მარტივად გაიხსნება. მოვითხოვ, დაკითხონ ექსპერტი და გაითვალისწინონ ყველა ის გარემოება, რომელზეც ამდენი წელია ვსაუბრობ, მათ შორის, ახალი გარემოებებიც. ასევე მოვითხოვ, მცნონ დაზარალებულად, რადგან მომიკლეს ერთადერთი შვილი, რომლის კანონიერი სამართალმემკვიდრე ვარ (ზურას არ ჰყავდა დედამამიშვილი, მამა. ცოლს გაშორებული იყო და ჰყავდა მცირეწლოვანი შვილები). ამაზე პროკურატურამ უკვე მითხრა უარი. წერილობით მაცნობეს: „დღეის მდგომარეობით არ არსებობს თქვენი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველი“. გაუგებარია, თუკი მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის წევრებს აძლევენ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსს მაშინ, როცა საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლითაა აღძრული, მე რატომ არ ვსარგებლობ იგივე სტატუსით? მით უმეტეს, ამ საქმეზე გამოძიება დაიწყო უმძიმესი, სსკ-ს 109-ე მუხლით — ორი პირის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციით. პროკურატურამ უარი მითხრა ხელახალი ექსპერტიზის ჩატარებაზეც. წერილობით მიპასუხეს, ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა შეუძლია მხარეს, მხარედ კი, მითითებულია ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორიო. ექსჰუმაციაზეც თანახმა ვარ, ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ჩემი შვილის მკვლელის ვინაობა გავიგო. ერთადერთი ეს მაცოცხლებს. თუ ამას სიცოცხლე ჰქვია — ცოცხალმკვდარი დავდივარ და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რა გავაკეთო, რომ სიმართლეს ფარდა აეხადოს.

სისტემური რეფორმა პედაგოგების მხარდასაჭერად

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

სპეციალური კომისიის მიერ მიღებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალ სქემას მთავრობა, სავარაუდოდ, 20 თებერვლამდე დაამტკიცებს

„სკოლა სათანადო განათლებას ვერ აძლევს ჩვენს შვილებს“, — მშობლების ეს წუხილი აღარავისთვისაა ახალი. ამის მიზეზად, ძირითადად, ბოლო ათწლეულში რამდენიმე არაეფექტური, დაწყებულ-დასრულებული თუ დაწყებულ-შეჩერებული რეფორმა სახელდება, საუბრობენ ასევე მასწავლებელთა არაკვალიფიციურობაზე, რაც, ექსპერტთა აზრით, მხოლოდ სისტემური ცვლილებების გატარებითაა შესაძლებელი. სწორედ სისტემური ცვლილებების გატარების მიზნით შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა და კონცეფცია, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში სხვადასხვა მხარეების ჩართულობით მუშავდებოდა. შედეგად, შეიქმნა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომლის მარეგულირებელ დოკუმენტებზე სპეციალურმა მუდმივმოქმედმა სახელმწიფო კომისიამ მუშაობა ცოტა ხნის წინ დაასრულა და 20 თებერვლამდე დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას წარედგინება. სახელმწიფო კომისიის წევრებმა განიხილეს და გარკვეული ცვლილებები შეიტანეს ზოგადი განათლების კანონით გათვალისწინებულ იმ დოკუმენტებში, რომლებიც არეგულირებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფუნქციონირებას. განსაზღვრავს მასწავლებლებისთვის სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელ გზებსა და საშუალებებს, სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალს, კრედიტქულების განაწილების პრინციპებსა და გაანგარიშების წესს, მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმებსა და კრედიტქულების დაგროვების ვადებს. ზოგადად, კომისიის მუშაობის მთავარი მიზანია, პედაგოგებს განვითარებაში დაეხმარონ. იმის გასარკვევად, რამხელა მნიშვნელობა აქვს კომისიის არსებობას და კონკრეტულად, რა ცვლილებები შევიდა შესაბამის დოკუმენტებში, „ვერსია“ კომისიის რამდენიმე წევრს დაუკავშირდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, **ქეთი ჭკუასელის** განმარტებით, კომისია წარმომადგენლობითია, რაც გარანტია, რომ მისი მუშაობა ეფექტს გამოიღებს: **„კომისია 19 წევრისგან შედგება. მათ შორის არიან თსუ-ს, ილიას უნივერსიტეტის, პროფესიული კავშირების, ქალაქის თვითმმართველობის, სახელმწიფო უწყების, განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პედაგოგები, დირექტორები და განათლების ექსპერტები. ამ ფონზე, გარკვეული გარანტია, რომ კომისია კარგად იმუშავებდა, თავიდანვე არსებობდა. ბევრი დოკუმენტი იყო განსახილველი, ამიტომ თავმჯდომარემ, განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კომისიის წევრები 3 ჯგუფად დაყო. დოკუმენტები გადავინაწილეთ, ჯერ ჯგუფში განვიხილეთ და შემდეგ — საერთო სხდომებზე“.**

მისივე განმარტებით, სქემის მიხედვით, განისაზღვრა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა ეტაპების საფეხურები, რაც მიბმულია შრომით ანაზღაურებასთან. ეს რა თქმა უნდა, მასწავლებელს მოტივაციას გაუზრდის, რათა პროფესიულად განვითარდეს, პრაქტიკოსის საფეხურიდან, ყველა საფეხურის გავლით, უმაღლეს — მენტორის საფეხურამდე ავიდეს და შესაბამისად, ბევრად მაღალი ხელფასიც აიღოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცვლილებების თანახმად, მასწავლებლის შეფასება და განვითარების საფეხურების განსაზღვრა, ძირითადად, სკოლაში ხდება, რაც ზრდის სკოლის პასუხისმგებლობას, ავტორიტეტს და ნერგავს შეფასების იმ კომპონენტს, რომელსაც სკოლა წლების განმავლობაში მოკლებული იყო. ცხადია, ასეთი მიდგომა სკოლებში არსებული ხარვეზების გამოსწორებას განაპირობებს. ხარვეზებისა და გადაცდომების გამოსარიცხად, მასწავლებელთა გარეშეფასებაც მოხდება — გარე დაკვირვების სახით შეფასება, იმის გარანტი იქნება, სკოლა პედაგოგს დიდი პასუხისმგებლობით, ობიექტურად შეაფასებს.

პროფესორ ქეთი ჭკუასელის განმარტებით, კომისიამ იმაზეც იმსჯელა, როგორ გაზარდონ სკოლის მოსწავლეებში სურვილი და მოტივაცია, რომ მასწავლებლის პროფესიას დაეუფლონ: **„ამ მიზნით, შევიმუშავეთ ასეთი მეთოდი — ბაკალავრის პროგრამაშივე, ჩაშენებული იქნება სამაგისტრო პროგრამა. ანუ, 5 წლის შემდეგ სტუდენტი მაგისტრთან გათანაბრებულ ხარისხსაც მიიღებს. ეს მისთვის მნიშვნელოვანი იქნება დროის, თუ ეკონომიური თვალსაზრისით. პარალელურად, უმაღლესი სასწავლებლები, პედაგოგის პროფესიის დაუფლების მსურველ სტუდენტებს, სასურველ შიდაპრაქტიკას შესთავაზებენ — მათ, პრაქტიკულად მიეცემათ საშუალება, უნივერსიტეტშივე გახდნენ „პრაქტიკოსი მასწავლებლები“.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე **სოსო სალუქვაძე** მიიჩნევს, რომ სასურველი და აუცილებელია, ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად განისაზღვროს მოდელი, ვის შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია მასწავლებლობაზე და როგორ უნდა მოხდეს პედაგოგის დაწინაურება, ანუ განვითარების საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა: **„კომისიის მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. კარგია, რომ გამოკვეთილად, დეტალურად იქნება გაწერილი, როგორ გაიზრდება მასწავლებლის ანაზღაურება, კარიერული წინსვლის პროცესში, საფეხურიდან საფეხურზე გადასვლისას. რაც შეიძლება ნაკლები კითხვა უნდა დარჩეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პედაგოგებისთვის გასაგები იყოს, რა მოეთხოვებათ, რა გზით უნდა იარონ, რომ ქვედა საფეხურიდან მაღალ საფეხურს მიაღწიონ. მასწავლებლებს პერიოდულად დააკვირდებიან, შეაფასებენ, გადაამზადებენ. მათ ყველა პირობა შეექმნებათ, კვალიფიკაცია აიმაღლონ და განვითარდნენ“.**

პროფკავშირების ხელმძღვანელის, **მაია კობახიძის** განმარტებით, სპეციალური სახელმწიფო კომისიის შექმნა, ძალიან პოზიტიური მოვლენა იყო. მის მუშაობაში თავისუფალი პროფკავშირების ჩართვა კი მასწავლებლებს მეტ გარანტიებს უქმნის, რომ ცვლილებები, მათი პროფესიული ინტერესების დაცვის მიზნით გატარდება: **„პედაგოგებს, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან არ ჰქონიათ მხარდაჭერა და ხელშეწყობა პროფესიული განვითარებისთვის. მეტიც, მიმდინარე რეფორმები, მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიებები იყო და ამიტომაც ვერ მოგვცა შედეგი განათლების ხარისხის ამაღლების კუთხით. ბოლო პერიოდში, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით, განისაზღვრა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საფეხურები. კომისიის წევრებს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა იმაზე, მკაცრი მოთხოვნები უნდა დაწესდეს პედაგოგებისთვის თუ, როგორც ჩვენ ვითხოვდით, მასწავლებლებს ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდეთ, რომ რეალურად შეძლონ კვალიფიკაციის ამაღლება. მინისტრიც მასწავლებლების ინტერესებზე იყო ორიენტირებული. საბოლოოდ, 9 ნორმატიული აქტი დავხვეწეთ“.**

მაია კობახიძის განმარტებით, ცვლილების თანახმად, გარეშეფასება არ შეეხება პრაქტიკოს პედაგოგებს. მათზე არანაკლებ 2 შიდა განმავითარებელი დაკვირვება მოხდება. ანუ, მათ, გაკვეთილის წარმართვის პროცესში, სკოლის დამკვირვებელთა ჯგუფი, 4 წლის განმავლობაში, არანაკლებ 2-ჯერ დააკვირდება.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა ისიც, რომ დოქტორის ხარისხის მქონე მოქმედ პედაგოგს, უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება, სტაჟის მიუხედავად, მთავარია ის სკოლაში მუშაობდეს. ანუ, თუ აქამდე ასეთ პედაგოგს, სკოლაში მუშაობის ბოლო სამი წლის სტაჟი უნდა ჰქონოდა უფროსი პედაგოგის სტატუსის მისაღებად, ახლა აქცენტი გაკეთდება მასწავლებლის კვალიფიკაციაზე, რამდენად მაღალი დონის განათლება აქვს მას მიღებული, საგნის რამდენად სიღრმისეული ცოდნა აქვს. ხოლო, თუ ეს პედაგოგი პარალელურად სერტიფიცირებულიცაა, მას წამყვანი მასწავლებლის სტატუსს მიანიჭებენ.

მაია კობახიძის განმარტებით, შეიცვალა საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის ვადებიც: **„პრაქტიკოს მასწავლებელს, საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელად დაუწესდა არანაკლებ 4 წელი. ეს მათ პროფესიულ უფლებებს აუმჯობესებს და შესაძლებლობას ქმნის, სავალდებულო აქტივობები მშვიდად განახორციელონ. ასევე შევთანხმდით, რომ 2015-16 წელი გამოცხადდეს პილოტირების წლად. აქედან გამომდინარე, ყველა მასწავლებლისთვის, საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის ვადა გაიზარდოს ერთი წლით. განისაზღვრა პედაგოგის მიღების კონკურსის წესიც. აქამდე თუ ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში სკოლა უმეტესად კონკურსს აცხადებდა, ამიერიდან, 2 ტიპის — შიდა და გარე-კონკურსი ჩატარდება. ჯერ, პრიორიტეტი იმავე სკოლის იმ მოქმედ პედაგოგებს მიენიჭებათ, ვინც სრული საათობრივი დატვირთვით არ მუშაობს და მხოლოდ ასეთი მასწავლებლის არარსებობის შემთხვევაში გამოცხადდება ღია კონკურსი“.**

გასულ წლებში, მასწავლებელთა სერტიფიცირებამ, ვერ შეძლო რეალურად მასწავლებლის საქმიანობის სრულყოფილი შეფასება. მითუმეტეს, სერტიფიცირების პროცესი პრაქტიკულ საქმიანობას, გაკვეთილის წარმართვას არ აფასებდა. 2015 წლის 1 იანვრიდან, ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებები რომ არ შესულიყო, არასერტიფიცირებულ მასწავლებლებს მასწავლებლის სტატუსი უწყდებოდათ. ამ ფონზე, მაია კობახიძის შეფასებით, გარდაუვალი იყო სისტემური ცვლილებების განხორციელება. ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომ სერტიფიცირებულ მასწავლებელს, არ დაეკარგოს სერტიფიკატი და მიენიჭოს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. **„მაგრამ მათ გარდა, 42 მასწავლებელი არასერტიფიცირებულია. ეს არ ნიშნავს, რომ მათ გამოწვევებს ვერ უპასუხეს. ბევრი პროტესტის ნიშნად არ გავიდა გამოცდებზე. გადაწყდა, რომ მათ დასაწყისისთვის მიენიჭებათ პრაქტიკოსი პედაგოგის სტატუსი და პროფესიული უნარების ნაცვლად, მხოლოდ საგნობრივი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ“,** — განმარტავს **მაია კობახიძე.** მისივე თქმით, მინისტრის გადაწყვეტილებით, აღმოჩენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, კომისია 2015 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებულ პილოტირების პროცესშიც აქტიურად ჩაერთვება. პროფესორ ქეთი ჭკუასელის განმარტებით კი, საპილოტე წელს დაგროვილი აქტივობები, მასწავლებელს აუცილებლად ჩაეთვლება.

ბოლო ათწლეულში, განათლების სისტემაში, არაერთი რეფორმა განხორციელდა. რით არის განსხვავებული ახალი ცვლილებები და რატომ არსებობს მეტი გარანტია, რომ ისინი ეფექტური იქნება? ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების სკოლის ხელმძღვანელი **სოფიკო ლობჟანიძე: „ყველა ცვლილება, რომელიც გავატარეთ, უმნიშვნელოვანესია, რადგან ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ჯამში, სქემის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია. აქამდე, რეფორმები ხდებოდა ცალკეულ სფეროებში. დღეს კი, საქმე სისტემურ ცვლილებასთან გვაქვს. ეს სისტემური ხედვაა, რომელიც მოიაზრებს ყველაფერს: მასწავლებელთა მომზადებიდან დაწყებული, კარიერაში შესვლით გაგრძელებული და პროფესიული განვითარებით დასრულებული. ამ ფონზე, ვფიქრობ, ეს ცვლილებები, ნამდვილად გამოიღებს სასურველ შედეგს“.**

სპეციალური კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტი, საქართველოს მთავრობას უკვე წარედგინა. ყველა აქტს, მთავრობა, სავარაუდოდ, 20 თებერვლამდე დაამტკიცებს. კომისიის წევრებს იმედი აქვთ, რომ დოკუმენტში ძირეული ცვლილებები აღარ შევა.

ვერსიანიუსი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე კიბერშეტევა განხორციელდა

უწყების ინფორმაციით, მომხდარის დეტალების დასადგენად მოკვლევა მიმდინარეობს: „განხორციელებული კიბერშეტევის გამო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, აამოქმედოს სამინისტროს ახალი ვებგვერდი, რომელზეც მუშაობა ამ ეტაპზე ნაწილობრივ არის დასრულებული. შესაბამისად ბოდიშს ვუხდით მომხმარებელს მასზე მოცემული არასრული ინფორმაციის გამო და ვაცნობებთ, რომ საიტის საინფორმაციო კონტენტის შევსება ახლო მომავალში დასრულდება. ვებგვერდის ახალი ვერსია მისამართზე წწწ.მფა.გოვ.გე დღის განმალობაში გახდება ხელმისაწვდომი. ამჟამად შეფერხებით მუშაობს საზღვარგარეთ საქართველოს მისიების ვებგვერდებიც“.

„პირველი“

კომპანია „ნატახტარმა“ 100 მილიონი ლიტრი პროდუქცია გაყიდა

ბაზრის ლიდერმა კომპანიამ 2014 წლის შედეგები შეაჯამა

2014 წელს, კომპანია „ნატახტარმა“ რეკორდული რაოდენობის პროდუქცია აწარმოა და 100 მილიონ ლიტრზე მეტი გაყიდა, რაც საქართველოს ლუდის ბაზრისთვის უნიკალური მაჩვენებელია. „ნატახტარი“ 2005 წლიდან აწარმოებს ლუდსა და ლიმონათს. 2008 წლიდან, მან უკვე მოიპოვა ლუდის ბაზრის 50%-ზე მეტი წილი და დღემდე ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას. 100 მილიონი ლიტრის გაყიდვა კომპანიის მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტიანობამ, სტაბილურმა ხარისხმა და მომხმარებლის ერთგულებამ განაპირობა. ამასთან, ეს უტყუარი დასტურია, რომ „ნატახტარის“ პროდუქცია უყვარს მომხმარებელს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებსგარეთაც.

2010 წლიდან, კომპანიაში გადაიარაღებისა და საწარმოო სიმძლავრეების ზრდის პროცესი დაიწყო. შედეგად, თანდათან განახლდა ჩამოსასხმელი ხაზები, აშენდა დამატებითი სახარში განყოფილება, გაიზარდა ლუდის შემნახველი რეზერვუარების რაოდენობა და მოცულობა. წარმადობის კუთხით, კომპანია დღეისათვის სრულად აკმაყოფილებს საქართველოს ბაზრის მოთხოვნას, წლის ყველაზე ცხელ მონაკვეთშიც კი.

„ნატახტარის“ პრიორიტეტია, გაითვალისწინოს სურსათის უვნებლობის, ჯანმრთელობისა და თანამშრომელთა კეთილდღეობის საერთაშორისო სტანდარტები. შესაბამისად, „ნატახტარი“ ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელსაც ყველა არსებული ISO სტანდარტი აქვს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი პროდუქტის გამორჩეულობასა და უნიკალობას. კომპანია შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების დამადასტურებელი სერტიფიკატების მფლობელია: ISO 9001 (ხარისხის მართვის სისტემა); ISO 22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა); ISO 17025 (ლაბორატორიის კომპეტენციისა და კალიბრაციის ზოგადი მოთხოვნები); HACCP (რისკის ანალიზი და კრიტიკული წერტილების კონტროლი); ISO 50001 (ენერგიის მართვის სისტემები) და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია OHSAS 18001 (ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა).

კომპანია „ნატახტარი“ ზრუნავს განვითარებაზე ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროფესიული მიმართულებით. ამისთვის ყოველწლიურად მილიონობით დოლარის ინვესტიცია ხორციელდება. კომპანია ამაყობს პროფესიონალთა გუნდითა და წარმატებული პროექტებით.

წარმოების მაღალი სტანდარტებისა და ხარისხის სტაბილურობის აღიარებაა 2014 წელს, ბორდოში (საფრანგეთში) მიღებული „მონდ სელექშენის“ (Monde Selection) ბრიუსელის ოქროს მედალიც.

2014 წელი კომპანიისთვის წარმატებული იყო. ჩვენ მომხმარებლებს შევთავაზეთ საქართველოში ლიცენზიით წარმოებული, კარგად ნაცნობი ჩეხური ბრენდი „კოზელი“, გერმანული ბრენდი „ჰერენჰოიზერი“ და ასევე გერმანული (ბავარიული), მაგრამ განახლებული „კაიზერი“.

წარმატებულია „ნატახტარის“ ლიმონათიც, რადგან ექსპორტის მოცულობა 35%-ით გაიზარდა. ლიმონათის ექსპორტი 20 ქვეყანაში ხორციელდება.

გრიპის ახალი ტალღა დაიწყო

თამარ ლომსაძე
599-209401

თავისტკივილი, მაღალი ტემპერატურა, გულისრევა — რა ინფექცია გავრცელდა საქართველოში

თავისტკივილი, გულის რევა, სიცხე... ამ სიმპტომებით უკვე არაერთმა ბავშვმა მიმართა პედიატრსა თუ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებას. თითქოს განსაკუთრებული არაფერი, ასეთი ვირუსები თუ გრიპი, რამდენიც გნებავთ, იმდენი გადაგვიტანია, მაგრამ ასე მასობრივად, ბავშვები, ერთი მეორის მიყოლებით ავად რომ ხდებიან და მაღალ ტემპერატურასთან ერთად, თავი საშინლად სტკივათ, ეს მსუბუქად რომ ვთქვათ, შეშფოთების საფუძველი ნამდვილად შეიძლება გახდეს.

„ჩემი ტელეფონი მთელი დღის განმავლობაში არ ჩერდება, ვისთანაც ოჯახში მისვლას ვერ ვახერხებ, ტელეფონით ვუწევ კონსულტაციას“, — გვიმხელს ერთ-ერთი პედიატრი, რომელიც დასძენს, რომ პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს, უბრალოდ ყველა მშობელი ყურადღებით უნდა იყოს და ასეთ დროს ბავშვს ბევრი სითხე დაალევინოს და ოთახიც ხშირად გაანიავოს, მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში კი სამედიცინო დაწესებულებას მიმართოს.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ასეთი მასობრივი ავადობის შემთხვევაში, ერთი კითხვა მიჩნდება: რისი მაქნისია გრიპის საწინააღმდეგო აცრა, რასაც აქტიურად გვირეკლამებენ და ვაქცინაც მცირე თანხა ნამდვილად არ ღირს? — კი, ბატონო, არავინ დავობს, რომ პრევენცია აუცილებელია, მაგრამ როდესაც საქმე ბავშვის ჯანმრთელობას ეხება, ალბათ გვირილის „გაპუტვის“ პრინციპით, „უშველის-არ უშველის“ მკითხაობა, ცოტა უხერხულია.

არცთუ შორეულ წარსულში რამდენიმე ექიმი პრივატულ საუბარში აღიარებდა, რომ გრიპის საწინააღმდეგო აცრას ვერ ენდობოდნენ და მის ეფექტურობაშიც ეპარებოდათ ეჭვი, თუმცა მაშინ დაავადებათა კონტროლის ცენტრში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ ეს აცრები გრიპის გარკვეული შტამებზეა გათვლილი, როდესაც სხვა სახის ინფექცია შემოდის, ვაქცინის მიმართ ბევრად მდგრადია და ამიტომაც ხდება ინფექციის გავრცელებაო. თუმცა ეს მედლის ერთი მხარე იყო, რადგან საქმე არა მხოლოდ წამლის ეფექტურობას, არამედ მის ხარსხსაც ეხებოდა და წამლის საააგენტომ ასეთი განცხადება გააკეთა: **„ყველა წამალი, მათ შორის ვაქცინები, კონტროლდება ზედმიწევნით და აბსოლუტურად დაცულია შენახვის პირობები ტრანსპორტირებისას“...**

რამდენადაა ეს კომენტარები იმედისმომცემი, ეს საუბრის სხვა თემაა, მაგრამ ახლანდელი მასობრივი ინფექციები იქნებ დაუდევრობის შედეგია? არც ისაა გამორიცხული, მართლაც ახალი შტამი შემოსულიყო, რადგან რუსეთი და უკრაინა დაახლოებით ერთი თვის წინ უკვე დადგა ამ პრობლემის წინაშე და რა გასაკვირია, საქართველოშიც შემოსულიყო ესა თუ ის ინფექცია?

სხვათა შორის, პედიატრები პირად საუბარში აღნიშნავენ, რომ საავადმყოფოებში ადგილი არ არის, იმდენი ბავშვი წევს და გადასხმების მიუხედავად, ტემპერატურის დარეგულირება მაინც ვერ ხერხდება. „ვერსია“ იაშვილის კლინიკას დაუკავშირდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვითხრეს, რომ ბავშვების ავადობის მხრივ საგანგაშო მდგომარეობა არ არის. პირიქით, წელს ბევრად ნაკლები შემთხვევა ფიქსირდება, ვიდრე ადრე, პაციენტები კი გვყავს, მაგრამ ეს პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არისო.

„ვერსია“ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრსაც დაუკავშირდა, თუმცა აღმოჩნდა რომ პასუხისმგებელი პირები თბილისში არ იმყოფებიან და შესაბამისად, კომენტარიც არავინ გააკეთა.

ადვილი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას იტყოდნენ: რომ მდგომარეობა საგანგაშო არ არის... ვითარება კონტროლს ექვემდებარება... რომ ახლა სეზონია...

არც ჩვენ გვინდა პანიკური შიშის გაღვივება, მაგრამ მაშინ იქნებ გვიპასუხოს ვინმემ, რა ინფექცია გავრცელდა და როგორ ვებრძოლოთ მას!

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გივი ფ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით წყალტუბოში დააკავეს. სამართალდამცველებმა გივი ფ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 60 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1				7		6		
					2		4	
	6	5	4			2	9	
				9				6
	1	9	2		7	5	3	
6				8				
	9	1			6	8	7	
	8		7					
		4		1				9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	8	5						9
			2			5		
4	2		8				1	
8						4	7	
			3		8			
	9	2						8
	4				7		9	6
		7			3			
9						7	4	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

			9					2
5		9	2				8	
				4		1		
			8		2	9	6	
	9		3	1	6		7	
	7	2	4		9			
		4		3				
	6				4	8		3
7					8			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8					3			5
				7			9	
		2		4			7	
4					5	1		7
		3				5		
1		9	4					8
	2			5		4		
	6			3				
5			1					2

იაპონელებს იძულებით დააკვინებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში ადამიანები იმდენად არიან საკუთარი სამსახურისადმი ერთგულები, რომ შარშან კუთვნილი შვებულებების მხოლოდ ნახევარი გამოიყენეს. ამჟამად იაპონიის ხელისუფლება ცდილობს, 2020 წლისთვის ეს ციფრი 70%-მდე გაზარდოს. არასტაბილურ ეკონომიკურ ვითარებაში ბევრი კომპანია ზეწოლას ახორციელებს თანამშრომლებზე. ახალგაზრდა იაპონელები თვეში ლამის 100 საათით მეტს მუშაობენ, ვიდრე ეკუთვნით. თუმცა, მათი თითქმის ორი მესამედი უარს ამბობს კუთვნილი შვებულების გამოყენებაზე, რადგან ეს „კოლეგებს არ ესიამოვნებათ“. ზოგი მოსამსახურე იმასაც აცხადებს, რომ ბევრი სამუშაოს გამო, არ აქვთ დრო დასვენებისთვის. მათი თქმით, ვინც სტაგნაციის პერიოდში დასასვენებლად წასვლას გადაწყვეტს, აღიქმება, როგორც ქვეყნის წარმატების არამოსურნე. შედეგად, იაპონური „წყევლა“ კაროსჰი , რაც ზედმეტი მუშაობისგან სიკვდილს ნიშნავს, ძველი, უფროსი ასაკის თანამშრომლებიდან უკვე ახალგაზრდა პერსონალზეც ვრცელდება. ახლა ყოველ მომუშავეს წელიწადში 10 ანაზღაურებადი დღე ეკუთვნის, ხოლო თუ შვებულებას არ აიღებენ, ყოველწლიურად მას თითო დღე დაემატება. მაქსიმუმი 20 დღეა. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ქვეყნის პარლამენტი იხილავს, კომპანიების ხელმძღვანელობა ვალდებული იქნება, აკონტროლოს თანამშრომლები და იძულებითაც კი დაასვენოს.

სტრესის მოსახსნელად ციხეში სხდებიან

ციხის კამერა არც ისე შესაფერისი ადგილია ადამიანისთვის სტრესის მოსახსნელად, თუმცა, სამხრეთ კორეის ბევრი მცხოვრები სხვაგვარად ფიქრობს. სპეციალიზებული დაწესებულება, სახელწოდებით Prison Inside Me (ციხე ჩემს შიგნით), სადაც ყველა მსურველს, შესაფერისი თანხის გადახდის შემდეგ, შეუძლია თავი პატიმრად იგრძნოს, ქალაქ ხონჩხონის გარეუბანში მდებარეობს. როგორც ციხის ხელმძღვანელი აცხადებს, სტრესის ასე ექსტრავაგანტურად მოხსნის იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, როცა ადვოკატის საქმიანობამ თავისუფალი დრო აღარ დაუტოვა. არ ვიცოდი, როგორ დამესვენა, ვგრძნობდი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ვმუშაობდი და ვერ ვაკონტროლებდი ჩემს ცხოვრებას, — აცხადებს ის. მაშინ 47 წლის კორეელი პენიტენციალურ სისტემაში მომუშავე ახლობელს დაუკავშირდა და სთხოვა, როგორმე ერთი კვირით ციხეში მოხვედრაში დახმარებოდა, ასე მაინც რომ გაქცეოდა რუტინას და სასიცოცხლო ძალები აღედგინა. ამ საქმეში მეგობარი ვერ დაეხმარა და ადვოკატმა გადაწყვიტა, თავისთვის თვითონ მიეხედა. გამჭრიახმა იურისტმა შეიმუშავა ციხის პროექტი, სადაც ნებისმიერ ადამიანს რამდენიე დღის გატარება შეუძლია. შენობის კომპლექსი დაახლოებით 2 მილიარდი ვონი (19 მილიონი დოლარი) დაჯდა. ორდღიანი ანტისტრესული კურსის ღირებულება დაახლოებით 146 დოლარია. აქ პრაქტიკულად ყველაფერი ისეა, როგორც ნადვილ ციხეში: სტუმრებს ართმევენ ზედმეტ ნივთებს, მათ შორის წიგნებსა და მობილურებსაც, ყველას ერთნაირ ფორმას აცმევენ და ერთადგილიან კამერებში ათავსებენ. როგორც დაწესებულების ხელმძღვანელი აცხადებს, მისი ციხე საკმაოდ თბილი და სუფთაა ნამდვილი საპატიმროებისგან განსხვავებით. ორდღიანი „დასვენება“ არც არის საკმარისი სტრესის სრულფასოვნად მოსახსნელად, მაგრამ შრომაზე „ჩაციკლული“ კორეელები თავს უფლებას არ აძლევენ, უფრო ხანგრძლივი დროით დარჩნენ იქ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	4	2	9	6	8	7	1	3
1	3	7	5	2	4	6	9	8
9	8	6	1	7	3	2	5	4
8	7	9	6	5	2	4	3	1
4	6	3	8	1	9	5	2	7
2	5	1	4	3	7	9	8	6
3	2	5	7	8	6	1	4	9
7	1	4	3	9	5	8	6	2
6	9	8	2	4	1	3	7	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	7	5	3	1	2	9	8	6
2	6	1	8	9	7	5	4	3
9	3	8	6	5	4	2	7	1
8	5	2	1	7	6	4	3	9
1	4	3	9	2	8	7	6	5
7	9	6	5	4	3	1	2	8
6	2	9	4	3	1	8	5	7
5	8	7	2	6	9	3	1	4
3	1	4	7	8	5	6	9	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	7	5	3	9	2	6	4	1
6	4	3	7	5	1	2	9	8
2	1	9	4	8	6	3	7	5
5	2	4	8	3	9	1	6	7
9	8	1	6	4	7	5	3	2
3	6	7	2	1	5	9	8	4
7	3	2	1	6	4	8	5	9
4	9	6	5	2	8	7	1	3
1	5	8	9	7	3	4	2	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	3	4	8	5	1	2	9	6
6	2	5	9	7	4	3	1	8
1	9	8	3	6	2	7	5	4
3	8	1	7	4	6	9	2	5
5	7	6	2	1	9	4	8	3
9	4	2	5	3	8	6	7	1
2	1	9	6	8	3	5	4	7
4	6	7	1	2	5	8	3	9
8	5	3	4	9	7	1	6	2

მე-10 გვერდი: 1. აბრეშუმი; 2. ბარი; 3. ელიოზი; 4. უვერტიურა; 5. ბარაკუდა; 6. აპერიტივი; 7. ანემია; 8. უტოპია; 9. კრეისერი; 10. იგრეკი; 11. ორიენტაცია; 12. მიტოზი; 13. ფელეტონი; 14. მიელიტი; 15. ტრაბახი; 16. ეპიტიმია; 17. ფიაკრი; 18. ნიორვანა; 19. ტიარა; 20. „ლატავრა“; 21. ბრერა; 22. ინგირი; 23. იუნგა; 24. სომელიე; 25. ადესა; 26. ბახი; 27. მედინა; 28. გამბიტი; 29. სტარტი; 30. მაიოლიკა; 31. ავლაბარი; 32. კრეკერი; 33. ტიიდა; 33. ნარკომანი; 34. „ტიიდა“; 35. ურალი; 36. აპისი; 37. ტაიმი; 38. ჰავაი; 39. ჩოხა; 40. ოდა; 41. ტეხურა; 42. ატა; 43. მორი; 44. ორე; 45. ვალეტი; 46. ცედრა; 47. ომი; 48. ეკრანი; 49. რე; 50. ანა; 51. ალ; 52. პარისი; 53. აბრა; 54. პა; 55. ნამი; 56. სი; 57. ტიალი; 58. ლეია; 59. მენელაე; 60. ასალი; 61. სილა.

მე-12 გვერდი: 1. ასკერი; 2. სავანე; 3. ეროზია; 4. მატყლი; 5. ადიუტანტი; 6. ყლორტი; 7. ირაო; 8. ევროპა; 9. ადოლფი; 10. ანტენა; 11. სიმონი; 12. აზავერი; 13. იპონი; 14. ნაია; 15. ტახი; 16. სტატია; 17. სედანი; 18. იეროგლიფი; 19. რივიერა; 20. ანა; 21. ოპიზა; 22. ლეილა აბაშიძე; 23. სოლ; 24. ტვინი; 25. ვიოლიერი; 26. გვარი; 27. გეა; 28. ეივე; 29. სკაიპი; 30. ფენი; 31. იანკი; 32. ვირი; 33. „კურიერი“; 34. ელვის; 35. ონისე; 36. იორიკი; 37. ალი; 38. რიოკოშეტი; 39. უნია; 40. რეიგანი; 41. იაგო; 42. ნავოი; 43. რევერანსი; 44. ისლი; 45. ლორია; 46. არარა; 47. ასმერა; 48. კარიესი; 49. ეპიტაფია; 50. ბია; 51. ომბალო; 52. დერბი; 53. სეიფი; 54. კიო; 55. არაკი; 56. დანაე; 57. პაი; 58. პუტინი; 59. ფსი;'60. კომუნიკე; 61. იდეა; 62. სოია; 63. ფოიე; 64. დიანა; 65. პია; 66. ლოყა; 67. ბაშმეტი; 68. პანი; 69. „სტიაუა“; 70. სკა; 71. ძლისპირი; 72. ილი; 73. სარა; 74. ბაბალე; 75. ფესი; 76. ტრიადა; 77. სამაია; 78. თია; 80. საარი; 81. „აიდა“; 82. ყურანი; 83. „წიქარა“; 84. ნენია.

მათხოვრები გამოფენის ექსპონატები გახდნენ

ორი რუმინელი, რომლებმაც სამშობლო უკეთესი ცხოვრების ძიების მიზნით დატოვეს, სამუზეუმო ექსპონატები გახდნენ შვედეთში. ლაპარაკია მათხოვრების წყვილზე, რომლებიც ქალაქ მაალმოში, სამხატვრო გალერეაში სხედან. გამოფენის ორგანიზატორებმა ისინი შემთხვევით ნახეს ქუჩაში და პროექტში მონაწილეობა შესთავაზეს. ახლა ორივე, დღეში ორი საათი ზის ცარიელ ოთახში. გამოფენის დამთვალიერებლებთან ურთიერთობა მათ აკრძალული აქვთ, ამ „სამუშაოდან“ მიღებული ფულით კი იმედოვნებენ, რომ რუმინეთში დაბრუნებას შეძლებენ. უჩვეულო ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ამ აქციით სურთ, შვედების ყურადღება საზოგადოების პრობლემებზე მიაპყრონ.

1. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა
2. სამართალდამცავი ორგანო
3. ყვავილების კონა
4. სპოროვანი მცენარე
5.მცენარის ზრდის პროცესი
6.მდინარის კალაპოტის კლაკნი
7. ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა
8. საქართველოს ფინანსთა მინისტრი
9.ქალისადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი
10. დიდი გრძელკუდიანი ხვლიკი
11. სახლს მიშენებული ღია ნაწილი
12. ქალაქი სამეგრელოს მხარეში
13. სოხუმი ძველ ქართულ წყაროებში
14.ცისარტყელას ქალღმერთი
15.ძავთ. გამოსაყვანი ხელსაწყო
16. რისამე განვითარების საფეხური
17. დიდი ზომის მღრღნელი
18.ჯამის ფორმის სასმისი
19. სანთლის მსგავსი ნივთიერება
20. საჭმლის მომნელებელი ორგანო
21. ნაპოლეონის მშობლიური კუნძული
22. მიზანში კარგად მსროლელი
23. ავადმყოფთა დროებითი იზოლაცია
24. გამოსახულების დამახ. ოპტიკურ ხელსაწყოებში
25. სამაგიდო თამაში
26.ვალტერ სკოტის ისტორიული რომანი
27.საავე მთვარის ეპითეტი
28.ასტრიდ ლინდგრენის „ყარაღის ასული ...“
29.გადაუმდნარი ქონი
30. ილიას მამული
31. ღრმა ორმო წყლისათვის
32.ქრისტიან ანდერსენის მშობლიური ქალაქი
33. იგივეა, რაც გრიმასა
34.კუკარაჩას ცოლი
35. მდინარე შვეიცარიაში
36. სამეფო „ფორტეპიანო“
37. ერთი წერტილი კამათელზე
38.ფერადი ქსოვილებისგან შედგენილი კომპოზიცია
39. მოცარტის მოძულე კომპოზიტორი
40. რუანდის დედაქალაქი
41. (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი
42. იტალიური ფიჭვი
43. სამკურნალო მცენარე
44. ფრანგული ყველის სახესხვაობა
45.სოფელი სენაკის რ-ში
46. ადამის მეუღლე
47. ქართული ანბანის მე-17 ასო
48. ძველ რომაელთა სამოსი
49. ოიდიპოსის ერთ-ერთი ასული
50. აქლემისებრთა ოჯახის ცხოველი
51. მე-20 საუკუნის ფრანგი დრამატურგი
52. ერთი სიმაღლის რამდენიმე ტონის ერთდრ. ყლეერა
53. ზღაპრული შინაარსის იგავი
54.კრივში: გვერ. დარტყმა მოღუნული ხელით
55. მზის სათვალეების ამერიკული ბრენდი
56. აიდაჰოს შტატის დედაქალაქი
57. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
58. რაიმე საგნის მონახაზი, კონტური
59. ბალახოვანი ხვიარა მცენარე
60. ტროპიკული ხილი
61. ნაოსნობის სახელმძღვანელო
62. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ... ალიევი
63. იაპონიის კუნძული
64. პოეზიის ჟანრი
65.ქალაქი ჰოლანდიაში
66. „ქვინის“ გიტარისტი
67. მეფის მეჯვარე ქორწილში
68. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
69.მზის შუქი, რაიმეზე დამდგ.
70.ევრ. ფეხბურთი ამერიკ.
71. „დაწიე!“ დოკერების სლენგზე
72. მსახ. ... ელიავა
73. ბიბლიური პერსონაჟი
74. ავსტრალიაში ისეთი მდინარე ან ნაკადული, რომელიც პერიოდულად შრება
75. დანიური სათამაშოების ფირმა
76. ახლად გამოტანილი კვირტი
77. პარიზის აეროპორტი
78. ეგვიპტის მეფეთა ტიტული
79. სასულიერო პირი „შუშანიკის წამებაში“
80. წახნაგოვანი, ზევითკენ თანდათან დავიწროებული ქვის სვეტი
81. გერდას მეგობარი ბიჭუნა „თოვლის დედოფალში“
82. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება

ძაღლს ბაკალავრის ხარისხი მიანიჭეს

ერთი წლის ოქროსფერმა რეტრივერმა, სახელად „ზიიკემ“ ოჰაიოს ჩრდილოეთის უნივერსიტეტის დიპლომი მიიღო. ამ უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტის, კენდალ ბეიკერის თქმით, ეს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა სასწავლო დაწესებულება დიპლომს ცხოველს ანიჭებს. „ზიიკემ“ ბაკალავრის სამეცნიერო ხარისხი ინვალიდებისა და მოხუცების მოვლის უნარ-ჩვევების ათვისებაში მიიღო — მას შეუძლია, წაიღოს ინვალიდის ეტლი, გააღოს კარი და აიღოს დავარდნილი საგნები. ახალგაზრდა რეტრივერი ადგილობრივ ორგანიზაციას ეკუთვნის, რომელიც უფასოდ უგზავნის ოთხფეხა დამხმარეებს მათ, ვისაც ეს სჭირდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.